

კომუნისტი

სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 1 მაისი
1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23-87
ლია ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9-1 საათამდე.

№15

ჟურნალის შინაარსი

მეთაური—პირველი მაისი; კულტურის სამი ეტაპი
ქართული ხალხის ისტორიაში—ყარბი; პირველი მაისი
ჩვენში კ. მაკარაძე; პირველი მაისობა—დ. სულიაშვილი;
პირველი მაისი გუმ და დღეს—ლ. კუპრაშვილი; საპირ-
ველმაისო—ლექსები—გ. ქუჩიშვილი; წუხელის დამით—
ლექსი—ნ. ზომლეთელი; 1-ლი მაისი—ლექსი—პატარა
მუშა; ზაპსეი —ლექსი—ალ. შოველი; სოლიდარობის

დღესასწაული—ს. მესტიაშვილი; დაუდევრობა თუ...—
ს. გვიმრაძე; კოლმეტიკული მშენებლობა საბჭოთა სა-
ქართველ. და ქართული ემიგრაციის ლიდერების ბიოგრაფი-
სისინი—ალ. ხელაძე; საბჭოთა აღმშენებლობა—ს. ელია-
ძე; სოფლის აღორძინება—ალ. ვადაკვირა; მდგომარეო-
ბა ჩინეთში—მიომხილველი.

პირველი მაისი

დღეს მსოფლიო პროლეტარიატი ზეიმობს. დღეს ის
სინჯავს თავის რაზმებს და კლასიურად დარაზმული სა-
ერთაშორისო მასშტაბით მე-3-მ-ჯერ დღესასწაულობს
შრომის განთავისუფლების დღეს—პირველ მაისს.

ამ დღეს ყველა ქვეყნის პროლეტარიატი ყველ- ქვეყ-
ნის შრომელნი ზეიმობენ, ხარბავენ.

ამ დღეს წითელი დროშით ხალხი დემონსტრაციას
ანდენს პროლეტარიატი მსოფლიო ყველა კლასებში და
თავის მოწინააღმდეგე კლასს, ბურჟუაზიას, აშკარათ ეუბნ-
ება—ჩვენც ადამიანები ვართ, გვეყო ამდენი ტანჯვა-
წყალება ჩვენ შევიტანეთ ჩვენი ინტერესი, ჩვენ დღეს შეგვ-
წევს ძალა. ჩვენ დავიარაღეთ და საერთო, მუშური,
ფრონტით მოვიდევართ თქვენზე. ჩვენ ვეძნით თანამედ-
როვე მატერიალურსა და სულიერ კულტურას, ჩვენ
ვეძნით, ქვეყნის დიდებს. ბატონ - პატრონიც ჩვენ უნდა
ვიყოთ.

მსოფლიო ბურჟუაზია ცახცახებს ამ ისტორიულ
დღეს. და ეს ორი კლასი, სამკედრო - სასიცოცხლოდ გან-
წყობილი, რაზმავენ თავის ძალებს უკანასკნელი, გადაწყ-
რელი ბრძოლისთვის.

კაპიტალისტთა სამეფოში პროლეტარიატს დღეს
სხვა პირობებში უხდება პირველი მაისის დღესასწაული.
იქ ის შეზღუდულია: მისი დემონსტრაციების ანარქიზმი
გარემორტყმულია ეანდარმებისა და პოლიციელების
ჯარებით.

გაბრაზებული ბურჟუაზია დღეს კარგავს სულიერ
მშვილობიანობას და ყოველის ოღონო ცდილობს მუშათა
მასებს წააშაროს და ძვირად დაუჯინოს ეს ბრწყინვალე,
მკაცრებით ადგომის დღე.

ფაშისტური ბურჟუაზია დღეს მოსურვებს მუშა
რევოლუციონერების რაზმების დაქსაცვის, მათში
შეჭრას და მათი წითელი დროშის ძირს დანარცხებას.

მუსოლინი, ზორტი და პილსუდსკი ასე უპასუხებენ
წითელ დროშის მატარებელ პროლეტარიატს.

უფრო „ლოიალურ“ გზას დაადგებიენ, ალბათ, სხვა
ბურჟუაზიის „დემოკრატიული“ ქვეყნები. იქ მუშათა

კლასს მისცემენ ნებას დღესასწაული ჩატარონ დახუ-
რულ შენობებში, რათა ქუჩებში ფაშისტებთან არ მოუხ-
დეს მათ სისხლიანი შეტაკება...

მეორე ინტერნაციონალის პარტიები, — მსოფლიო
მენშევიზმის მალარბლები, — დღესაც არ უღალატებენ
თავის ტრადიციას და უარს იტყვიენ კომუნისტებთან ერთ-
ად მთლიანი ფრონტით გამოსვლაზე. სამაგიეროდ 2-რე
ინტერნაციონალი მოწოდებით მიმართავს თავის პარტი-
ის წევრებს, რათა ეს დღესასწაული დახურულ კარებში
ჩატარონ, როგორც ეს მოიქმნა გასულ წელს ამსტერ-
დამის ინტერნაციონალმა. ყვითელი სოციალისტის ბუ-
დემ, ამსტერდამის ინტერნაციონალმა მოწოდებით მი-
მართ მუშებს: — „...კეთილ დემოკრატიული და კაპი-
ტულიტალისტური წყაყობილება“.

დიას, მსოფლიო ბურჟუაზიას ყავს ერთგული დამ-
ცველები, პროფკავშირების ხაზით მას იცავს ამსტერ-
დამი. პოლიტიკური ხაზით კი — ყველა ქვეყნის ს. - დე-
მოკრატიული პარტიები.

სულ სხვაა მაისობის დღესასწაული ჩვენში. აქ
პროლეტარიატი მთელი თავისი არსებით ზეიმობს
სოციალისტურ სამშობლოში ის არის ბატონ-პატრონი
თვით სახელმწიფოსი. სოციალისტური სახელმწიფო მას
იცავს.

ჯარი, მილიცია და სახელმწიფოს სხვა ორგანოები
სამხედრო პატივით მესალამა ჩვენ წითელ დროშას.

კიდევ მეტი: ჩვენი წითელი ჯარი, ჩვენი წითელი
სახელმწიფო, თვით ატარებს წითელ დროშას, როგორც
სახელმწიფოებრივ აღაშ!

ეს დროშა, ეს შრომის გამარჯვების ნიშანი, არის
იმავე დროს ჩვენი სახელმწიფოს დროშაც.

პირველი მაისი საბჭოთა სოციალისტურ კავშირებ-
ში არის არა მარტო პროლეტარიატის საზეიმო დღე, არა-
მედ ამ დღეს შეხარის ჩვენი მშრომელი მოსახლეობა, ამ
დღეს ზეიმობს ჩვენი სახელმწიფო და ამიტომ, ეს ისტო-
რიული დღე მუშათა კლასისა, საბჭოთა კავშირში—

სახელმწიფოებრივ დღესასწაულად არის დაკანონებული უკვე მე-X წელია რაც არსებობს საბჭოთა კავშირი. მთელი დედამიწის ერთი მეექვსედის ბატონ-პატრონი სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი კავშირია. ეს იმავე დროს არის ბაზა პროლეტარიატის პოლიტიკურ - ეკონომიური და სოციალური იდეების ემანსიპაცია.

საბჭოთა წყობილებას თავიდანვე ომი გამოუცხადა შინაურმა და საერთაშორისო რევოლუციამ, დანათო სამოქალაქო ომის ცეცხლი.

რევოლუციამ განმარჯვა, რეაქცია დამარცხდა. კომუნისტურმა პროლეტარიატმა გადალახა ათასი დაბრკოლება. ის არ შეუშინდა შიმშილს. და ათასგვარი გაქვივების, არ შეუშინდა მსოფლიო რევოლუციას, არ შეუშინდა იმპერიალისტების ინტერვენციას. მან გასჭედა მტკიცე ფოლადისებური პროლეტარული სახელმწიფო. მან აღადგინა მსოფლიო ომში და სამოქალაქო ბრძოლაში განაივებული სახალხო სამეურნეო - სამრეწველო ძალები. მან დააყენა დღის წესრიგში ქვეყნის ელემენტროფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია და კიდევაც ატარებს მას ცხოვრებაში.

ჩვენს ქვეყანაში, როგორც სხვა საკავშირო რესპუბლიკებში, ძირი ედგმება სოციალისტურ მეურნეობას: გაცივდა ახალი რკინისგზები, ფაბრიკა - ქარხნები, ირწყვება მინდორ-ველები, შერება ჭაობები და ტბები, მუშაობენ ტრაქტორები; ამირება ქვეყანა შეუდგა მატერიალურ აღორძინების გზას.

მსოფლიო ბურჟუაზია და მისი მემორცხენე ფრაქცია მენშევიზმი ვერ ურიგდება ჩვენს აღორძინებას, ჩვენს განმტკიცებას ეკონომიურ ფრონტზე. უფრო მეტათ ის ვერ ურიგდება ჩვენს პოლიტიკურ დიქტირებას, ჩვენს სოციალისტურ დროშას, ჩვენს კომუნისტურ იდეას... და ლამაზს ჩვენს დამარცხებას. და ამ მიზნით ის იწყებს ჩვენს გარემოებას.

ინგლისის ბურჟუაზია ამ მიმართულებით დიდ ენერჯიას და მატერიალურ დოვლათს ხარჯავს. მაგრამ უნაყოფოა მისი ასეთი ცდა... ეს განწირული კლასი ამით თავს ვერ იხსნის. სასიკვდილოდ დაეადებულ ბურჟუაზია და მისი პოლიტიკური სახე — იმპერიალიზმი, — ქრონიკულ მუდამ ერთი - მეორეს წინააღმდეგ ამხედრებული, ვერ შესძლებს საერთო ფრონტით ჩვენზე გამოლაშქრებას.

უესსურია მისი სტაბილიზაცია, ამავე დროს ჩვენა გვეყავს ძლიერი მოკავშირე. — მსოფლიო პროლეტარიატი, რომელმაც წარმოაგზავნა აქ ჩვენში, არა ერთი და თორი დელეგაციები. ამ მოკავალ რიცხოვან დელეგაციებით გაეცნო ჩვენს ქვეყანა მუშურ და საეროდ მშრომელ ევროპას.

მოხდა ჩვენი და მათი იდეური შეკავშირება და ევროპის მმართველ წრეებს ამის შემდეგ მათ უმეტეს აღარ შეუძლიათ ჩვენზე მათი წამოსისინება.

ალმოსავლეთის ხალხების გამოდიქებამ, კოლონიების და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების, აჯანყებამ ერთობ შეარყია იმპერიალიზმის ფესვები, შინებით იმპერიალიზმს აქვს საკმე გარევილიტოინერგული მუშათა მასებთან, ვარტე კი გარევილიტოინერგულ კოლონიალურ ხალხებთან. ამიტომ არის, რომ ის, თავზარმდაცემული, აქეთ - იქეთ ეხეთქება. ჯერ - ჯერობით მიზანში მან ამოიღო, ჩინეთის რევოლუცია. იქ, მან შესძლო ამ მოძრაობის შეფერხება. პროვოკაციით, მოსყიდვით და ზარბაზნების ყუმბარებით ლამაზს ნაციონალურ გამანათავისუფლებელ მოძრაობის განიკვებას.

მაგრამ უძღურია იმპერიალიზმი ამ საქმეში. მას არ ძალუძს ამომავლი მზის შეჩერება, რევოლუცია გაიმარჯვებს, კოლონიალური ქვეყნები შესძლებენ მათგან განათავისუფლებას; ამას ადასტურებს მაროკოსა და ჩინეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყება.

იმპერიალიზმი განწირულია. სოციალისტური რევოლუციის აწრდილი მას მოსვენებას არ აძლევს. ის ინსტიტუტურად გრძნობს განკითხვის დღის მოახლოებას. მსოფლიო მენშევიზმი ესარჩლება მას. ადუნებს - და ანელებს მასების რევოლიუციონურ საქმიანობას; ეწინააღმდეგება მუშათა საერთო ფრონტს, ქადაგებს სამოქალაქო ზავს...

მაგრამ მენშევიზმიც განწირულია. რევოლუციონური მუშათა მასები უკვე სტრუქტურულ მას და უფროებიან კომუნისტურ რევოლუციონურ პარტიას. ევროპის მუშათა კლასი იწყებს გამემარცხებებს.

აი როგორ პირობებში დღესასწაულობს მსოფლიოს მშრომელი, მასები და მისი აჯანყავი პროლეტარიატი პირველ ზაისს!

გ. უჯარჯოს პირველ ძაისს!
გაუმარჯოს მთლიან მუშაზე ფრონტს!

კულტურის სამი ეტაპი ქართველი ხალხის ისტორიაში

არმაზი, მცხეთა, ზაპსი

ხაბრლო დედაბრისასა
მღვინე ყანასა მკიანო.
ხალხური.

დღეს საქართველოს მშრომელი ხალხისთვის ორნაირი დღესასწაულია: მის უდიდეს მიღწევათა, მის კულტურისა და პოლიტიკურ ფრონტებზე გამარჯვებისა.

დღეს ის მოიმკის ნაყოფს იმ დიდი ღვაწლისას, რაც მთელი საუკუნის განმავლობაში ოფლითა და ტანჯვით დათესა ამ ხალხის საუკეთესო ნაწილმა.

დღეს ის ორი უდიდეს გამარჯვებას დღესასწაულობს: ეს არის პირველი მარხი, მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის დღე, რომელმაც საბჭოთა მშრომელი მასებისთვის უკვე დაკარგა თავისი ყოფილი სიმწვავე და ისტორიულ დღით გადაიქცა, და ბუნების ძალებზე საზღაპრო გამარჯვება — ზაპსის ამუშავება.

ეს ორი ისტორიული მომენტი ორგანიულად არის გადაბმული ერთმანეთზე. მათ ერთმანეთს ვერაფერ დათმობენ: პირველმა მისიმა, ძველი თვითმკარობელი რუსეთის მშრომელი მასების გაღვივებამ, მათმა სოლიდარულმა შეუდარეკლმა ბრძოლამ თვითმკარობლობის წინააღმდეგ მოგვცა წითელი ოქტომბერი.

ოქტომბერმა კი ქართველ ხალხს მისცა ზაპსი, ეს უღაო კემშარტება...

პირველ მასზე ლაპარაკში დღეს მე ჩემს თანამოკრემებს, რევოლუციის ცეცხლში გამომწვარ ძველ მუშებს, ვერ შევეცილები. მე შოლოდ ზაპსზე მინდა ვთქვა ორიონდ სიტყვა.

მე დღეს მინდა ქართველ მშრომელ ხალხს მივეულოცო ის ბედნიერი დღე, როცა აღმანიანს გენიით დამორჩილებულმა ბუნების ძალებმა პირველად მისცა მას თავისი ენერჯია და მით აღნიშნა ახალი ერა, ახალი უდიდესი კულტურის დასაწყისი ამ ხალხის ცხოვრებაში.

ყოველ ქვეყანაში, ყოველ ხალხს აქვს ხოლმე ისეთი ადგილი, ისეთი აგვარავილი წერტილი, რომელიც პირველ შეხედვით არაფრით არ განსხვავდება სხვა ადგილებისაგან. მაგრამ რაღაც გარემოებით იქცევა იგი ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ადგილად, ხდება საუკუნეთა განმავლობაში ხალხის სთავყვანო.

ქართველი ხალხის ისტორიაში ასეთი ადგილია ის პატარა მიდამო, სადაც ამდენხანს იყო: არმაზი და მცხეთა.

აქ, საქართველოს ამ პატარა წერტილზე, ჩაეყარა საძირკველი, აქ აყვავდა; აქვე გადაიქცა თავის სრულ

წინააღმდეგობად და დაიწვია საქართველოს ორი ძველი კულტურა: არმაზის თავყვანისცემლობა და ქრისტიანობა.

ეს ადგილი ჩაჰრიოდა ყველა ქართველის მესხიერებაში; ეს ადგილი შეადგენს საქართველოს გულს. ამიტომ მისკა მან მთელ ჩვენს ქვეყანას და მის ხალხს თავისი სახელი: საქართველო, ქვეყნელი...

დიდი იყო წარსულში ჩვენი ქვეყნისთვის ქართლის ამ პატარა წერტილის მნიშვნელობა. მაგრამ კიდევ უფრო დიდია მისი მნიშვნელობა დღეს და იქნება ამიერიდან... ამ ჩვენს ისტორიულ ადგილს გაუღიმა ბედმა. ეს ორი ძველი კულტურის აკვანი დღეს ახალი, უდიდესი კულტურის მიმჩქეველად გადაიქცა...

ასეთი მავალითი არ იცის არც ერთი ერის ისტორიამ. თვით ძველი საბერძნეთის „უქმინდესი“ ადგილი, „დელფიონის ქიბი“—დელფი, რომლითაც ყოველთვის იყო დაინტერესებული მთელი ქვეყნის კულტურული კაცობრიობა, გაქრა, აღიგვა პირისაგან ქვეყნისა. და იქ, სადაც უწინ დელფის უმშვენიერესი ტაძარი იდგა, დღეს დგას პატარა, უღარბესი სოფელი, **კახტრი**, პატარა ქობახებითა, ბელღებითა და პირუტყვების თავშესაფარი ფარეხებით...

არმაზ-მცხეთის არც ისტორიის განაჩენმა ააშორა ასეთი ბედი: იქვე დაიწყო ჩვენი ახალი კულტურა...

დროთა ბრუნვამ ისტორიის უფსკრულში, ცდომილ ვარსკვლავებებით, გადაცინულმა საუკუნეებმა, თან წაიღეს ქართული ერის ორი ძველი კულტურა. დღეს დაგვიჩნია მხოლოდ მათი გარეგანი გამოხატულება, მათი ჩონჩხი:

არმაზის კერა და მცხეთის ტაძარი. დაგვიჩნია ის ადგილი, სადაც უთვალავ საუკუნეთა წინ, ბუნების მონა, ჩვენს ძველის ძველ წინაპრებს აღუმართავთ არმაზის ცერა, რომელსაც შიშითა და ძრწოლვით სწირავდნენ მსხვერპლად თავის საკუთარ შვილებს.

გავიდნენ წლები, მრავალი საუკუნე. ჩვენი ველური წინაპრები ცოტათი მოღბენ, ცოტათი გადადამიანდნენ. ახლა მათ ვერ აკმაყოფილებდა სისხლის მსმელი არმაზი. მაგრამ მათი გონება ჯერ კიდევ სუსტი იყო, ისინი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულყვნენ ბუნების მონობიდან, ისინი კიდევ ვერ სძლებდნენ ღმერთის უმისოდ. ჩვენი წინაპრები შეუღდნენ ახალი „პატრონისა და მცველის“ ძებნას. და, როგორც ისტორია გადმოგვცემს, მათ მივედნა ვინმე ქალწული, მოევიანს ლამაზი ზღაპრებითა და ლეგენდებითა და დაიპყრო მათი ჯერ კიდევ სუსტი გონება.

გაუქმდა არმაზის ტაძარი, ძველ ადგილზე, როგორც გველის პერანგი, როგორც ძველი ველურობის მრავალმეტყველი ძველი დარჩა მხოლოდ მისი ჩონჩხი, და მის გვერდით აღიმართა მცხეთის ტაძარი.

თავდება ერთი კულტურა. იწყება მეორე.

დღე, დღეს ისტორიის წიაღში განისვენოს ჩვენი კულტურის მეორე ფენა—ქრისტიანობამ. მაგრამ ზთას-შვიდასი წლის წინათ, მაშინ, როცა იგი პირველად დაითესა ჩვენში, იგი დიდი ნაბიჯი იყო ადამიანების მიერ განკაცებისაკენ გადადგმული.

ჩვენ აქ ამ კულტურის მხოლოდ ერთი მხარე გვანტერესებს, ის მხარე, რომელსაც ჰქონდა უდიდესი სოციალური მნიშვნელობა და რომელზეც მოიქარგა ახალი კულტურის მესამე ფენი.

ისტორიის ამ შევანულ ხანაში, როცა ჩვენი წინაპრები დიდთა არ განირჩეოდნენ ველური ადამიანებისაგან, როცა ჩვენი ქვეყანა დაყოფილი იყო უთვალავ თემებად, როცა ყველა ეს თემები ერთმანეთზე დამოუკიდებლად, ერთმანეთთან მტრულად განწყობილი და ცალ-ცალკე სოციალურს, რელიგიურსა და ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენენ,—ქრისტიანობას უდიდესი როლი

უნდა ეთამაშა ხალხის ისტორიაში. ქრისტიანობას, რაც იმავე დროს ერთ ღმერთის თავყვანისცემასა და ყველა ადგილობრივი კერპის ურყევანის მოაწყვებდა, ნამდვილი ცემენტის როლი უნდა ეთამაშა ამ მტრულად განწყობილ თემების ცხოვრებაში. შეეკავშირებია ისინი, დაუნათესავებია იგინი ერთმანეთისათვის სულიერად და ფიზიკურად...

რელიგია, როგორც ყოველგან, აქაც შეიქნა ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ემბლემათი, მის ნაციონალურ დროშათი, მის მამოძრავებელ, საერთო მტრის წინააღმდეგ გამომყვან იმპულსად. ამ რელიგიას განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როცა მის თავს ესხმოდნენ ყველა ქვეყნის „წარმათები“, განსაკუთრებით მაშინ როცა იგი ვარს შემორტყმული იყო მეზობლი ისლამის მთავარბედი სახელმწიფოებით. ამიტომ ქრისტიანობა შეესხველა მათთვის ხალხის გულს. გადაიქცა მის ჩვეულებად, მის ყოფათი... იმ შევანულ ეპოქაში ეს თითქმის ერთდ-ერთი ძალა იყო, რომელმაც შესძლო დაქსაქსული, ერთი მეორეს მოსისხლე მტრები. ველური ხალხებისაგან ერთი ნაციის გამოქვდა, ერთი ქართველი ერის შექმნა.

ქრისტიანობამ, როგორც ყველა სხვა დიდმა რელიგიამ, უდიდესი ზიანიც მოაყენა კაცობრობას: ადამიანების ზევა სისხლი დაიღწია მის სახელოდ. მის სახელს დღესაც ვერ შეუღვიან მთელი ქვეყნის იმპერიალისტები, დღესაც ჯვართა და სახარებით ხელში მტაცებლობენ ისინი, დღესაც ქრისტეს სარწმუნოების რაინდებთა ევლინებიენ ისინი ჩამორჩენილსა და სუსტ ერებს. ქრისტეს სახელით, ქრისტიანული კულტურის გავრცელების ინტერესებით, ანართლებენ ისინი თავის მაგლურ ზრახვებს.

მაგრამ ველური ადამიანების გაერთიანებაში, მათგან ერთი ერის შექმნაში, ერთი ნაციის გამოქვდაში, მან უდიდესი როლი ეთამაშა... და ამას არასოდეს არ დაივიწყებს ახალ კულტურაში გადასული კაცობრიობა.

სულ სხვაა ჩვენი კულტურის მესამე ფენი. ის ნაყოფია ბუნების ძალებზე ადამიანის სრული გამარჯვებისა.

დღეს ღმერთები არ არსებობენ. ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ ადამიანია. მისმა გუნამ დაიმორჩილა როგორც ზევა, ისე დედამიწა, როგორც ზღვა, ისე ხმელეთი.

დღეს ღმერთები არ განაგებენ ადამიანების ბედ-ბალს. დღეს მათი ტახტები დაღწა მუშის ძლიერმა მარჯვენამ. მან მოსტაცა ღმერთებს ცეცხლი და მისცა იგი ადამიანებს... და ის, რაც გუშინ მხოლოდ აჯანყებული ადამიანების დასათურგნავად ეკავა ხელში ღმერთების მამა ზევსს, დღეს ადამიანებს საკეთილდღეოდ, მათი ბედნიერების იარაღად გადაქცეულა.

და მტკვარი,—მრავალი დროების მოწამე, მაგრამ უტყვი, მტკვარი — დღეს ამტკვარებულა. დღეს ჯადოსნურად ლაპარაკობენ მისი ცეცხლის ენები. დღეს ის უნათებს ქართველ მშრომელ ხალხს ახალი კულტურის გზებს... დღეს ის მოუთხორობს მას მისი ქვეყნის საშინელ წარსულს, ის მას ასწავლის ორი წარსული კულტურის ისტორიას...

ის მოუწოდებს ქართველ მშრომელ ხალხს ახალი, ჯერ უნახავი კულტურისაკენ. ის აძლევს მას ძალას ახალი ქვეყნის შესაქმნელად.

ზაკესი—ხალხის საბედნიეროდ ამუშავებული ბუნების ძალაა. ის რჩინის უღელში გამბეული და ადამიანების საბედნიეროდ ამუშავებული მტკვარია. ის ამდიდრებს ქართველ ხალხს ახალი მუშა-ძალებით.

გლესს ყველა შვილი უყვარს, მაგრამ ერთნაირის სიყვარულით ყო არა. ის უფრო ვახარებულა, როცა მას ვაჟი ებადება. რატომ? იმიტომ, რომ იგი ანგარიშანია. მან იცის, რომ ვაჟი მის ოჯახს ამდიდრებს მუშა-ძალით, მშორემოს უმეტებს მას.

თუ ვაჟის დაბადება ასე სისხიარულია მუშის ოჯახისთვის, რა უნდა მერ სიხარულს უნდა იწვევდეს ქართველი ხალხის კოლექტიურ ოჯახში შაჰისის გაჩენა, რომელიც 38.000 ცხენის ძალს მისცემს ქვეყანას? შაჰისი ჩვენ გვაძლევს 38.000 რკინის მდევს, რომელნიც წაიღო დაატრიალებს სწრაფი ქვეყნის ბელს...

შაჰისში ქართველ ხალხს აუცხადდა თავისი ზღაპარი. მას იდეალური ცხოვრება წარმოედგინა ისე, რომ ზღაპრული მდგვი დახმარებოდა უმუშახელოთ დარჩენილ ოჯახს, მოეკო საზრლო დედაბრის ყანა.

ეს დღეს მას რეალობით გადაეცემა. დღეს საქართველოს ცხადივე მოველოდნენ ეს საზღაპარო მდგევები, რომლებიც არა თუ საზრლო დედაბრის დახმარებთან, ყველა ქართველის ყანას მომკიან.

დღეს საზრლო დედაბრისა... არა, დღეს ქართველმა ხალხმა ასე უნდა გადააკეთოს თავისი ძველი სიმღერა: ბედნიერ ქართველსა. მდევნი ყანასა მკიანო.

ყარბი.

პირველი მაისი ჩვენში

(მოგონებრივად)

დღეს მუშათა კლასის რიგებში არავინ შეგულება ისეთი, რომელმაც არ იცოდეს პირველ მაისის დღესასწაულის მნიშვნელობა. ყველა ერთგვანად, ყველა სახელმწიფოს თავისი განსაკუთრებული კუთხური დღესასწაული აქვს როგორც რელიგიური, ისე რევოლუციონური. ზოგი თავის დამოუკიდებლობას დღესასწაულობს, ზოგი მტრის დამარცხებას. მაგრამ პირველი მაისი მუშათა კლასისათვის, მშრომელ ხალხისათვის სოლიდარობისა და ერთობის დღეა.

პირველ მაისს ყველა მუშა, ქარხანა-ფაბრიკისა იგი თუ კერძო მოხელე, გლეხი მოჯამაგირა თუ კერძო მომუშავე, რომელიც თავის საკუთარს შრომით ირჩენს თავს და არჩენს კოლშვილს, ყველა ერთნაირად დღესასწაულობს, მან იცის, რომ დღესასწაულობს არა მარტო ის, არამედ მასთან დღესასწაულობს მასები: მივიღე ქვეყნის, ყველა ერების მშრომელი მასები: რუსი, თათარი, ფრანგი, ინგლისელი, ამერიკელი; გერმანელი და სხვ.

სიღვანე წარმოიშვა ასეთი დიდი საერთაშორისო დღე, პირველი მაისი? 1886 წელს პირველ მაისს ამერიკის მუშები გაიფიცნენ ქალ. ჩიკაგოში და ბურჟუა-კაპიტალისტებს მოთხოვნილება წარუდგინეს: 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება, პოლიტიკური უფლებების გაფართოვება და სხვ. ამ ერთსულოვანმა გაფიცვამ განანიშნული ხასიათი მიიღო; მან ჩაუყარა საძირკველი მუშათა სოლიდარულ მოქმედებას. კაპიტალისტები და მთავრობა საფრთხის წინაშე დადგნენ. მათ წინ აშკარა საკითხი დადგა: ან ბრძოლა მუშათა მთლიანი ფორმის წინააღმდეგ, ან დათმობა და მოთხენილებათა შესრულება.

მან პირველი არჩია. მუშათა სოლიდარულ გამოცდებებს სასტიკი შეგებრძოლა და მუშათა მოძრაობა სისხლში ჩაახრჩო. აუარებელი მუშები იქნა დათხოვნილი სამსახურიდან, აუარებელი დააპატიმრეს ციხეებში, მრავალი კიდეც დასჯილნი.

ამას ენერგულად გამოეხმებოდა შრომის ფდირაკია. მან სხვათა შორის, დაადგინა: იღვასასწაულონ ჩიკაგოში დახმარებელი მუშების ხსოვნის აღსანიშნავად ყოველ წელს პირველი მაისი.

ამ დღესასწაულებას მხარი დაუჭირა მეორე ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა 1889 წელს პარიზში და პირველი მაისი გამოაცხადა საერთაშორისო პროლეტარიტის სოლიდარობის დღედ.

ბურჟუაზიამ და ბურჟუაზიულმა მთავრობებმა აშკარად დაინახეს პირველ მაისის მათი დამოუკველი მნიშვნელობა. ბურჟუაზია დაავრთხო იმ გარემოებამ, რომ მუშები დემონსტრაციულად სტრევებდნენ ქარხანა-ფაბრიკებში მუშაობას და შეერთებულის ძალით გამოდიოდნენ თავისი სულთამთოთავი კაპიტალის წინააღმდეგ, ის აშკარათ. ვულახლიათ ეუბნებოდა ბურჟუაზიას: მართალია დღეს შენ ბატონი, შენ სწოვ სისხლს მშრომელ ხალხს, მაგრამ ხვალისდელი დღე ჩვენ, მუშათა კლასებს ვაქუთუნის. ჩვენ შეეჭმით მთელი ქვეყნის სიმდიდრე და ქვეყნის ბატონ-პატრონიც ის უნდა იყოს.

ბურჟუაზია მივიღის თავისი ძალიანთ შეგებრძოლა პირველი მაისის დღესასწაულს. ვინც პირველ მაისს სა-

მუშაოზე არ გადაიდა, ის მიერ სამუშაოს ვერ იშოვნინდა, მას არსად ვა იღვდენ. ამიტომ მუშები იძულებული შეიგნენ პირველ მაისის დღესასწაული კვირა უქმე დღეს ედღესასწაულათ. ბოლოს ჩვენშიც მოიღწია პირველ მაისის დღესასწაულმა. ის თუმცა გვიან იქნა მიღებული ჩვენში, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ფართე და ღრმა ხასიათი მიიღო მან ძველი რუსეთის სინამდვილეში. ვიდრე ეს უფრო „დაწინაურებულ“ ქვეყნებში ჰქონდა. ჩვენ, ქართველმა პროლეტარებმა გვიან დაიწყეთ რევოლუციონური მოძრაობა, და პირველი მაისის დღესასწაულიც, მაგრამ სამაგიეროდ ამ გზით ჩვენ შეუჩერებელი ყვედით წინ და ექვეტრანულ სისწრაფით მოვედეთ იგი საქართველოს მშრომელ მასებს.

1897 წელს ჩაყარა საძირკველი ნამდვილ მუშურ რევოლუციონურ მოძრაობას ქ. ტფილისში. მართალია, ადრეც არსებობდა ინტელიგენტური ჯგუფი: მახარაძე, უორდანი, ჯიბლაძე, გელეიშვილი და სხვა, მაგრამ ამას უფრო ინტელიგენტური ხასიათი ჰქონდა, ეს იყო ჩამოუყრლობებელი მუშათა მოძრაობა.

1898 წელს მიხდა პირველი მაისის დღესასწაული, მაგრამ ეს იყო სახლში და მას უფრო ინტიმიური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რევოლუციონური. 1899 წელს პირველი მაისი ჩვენ ვიდღესასწაულეთ ღია ცის ქვეშ, ღრმა დღესასწაულთან. აი, მხოლოდ ეს შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ პირველ მაისის დღესასწაულად.

აქ დაესწრა სულ 42 ამხანაგი, აქ იყვნენ როგორც მუშები, ისე ინტელიგენტებიც. პირველი სამაისო მისალმება იყო ამხ. რ. კალაძის მიერ, მან მჭერმეტყველო დაასურათა პირველი მაისის მნიშვნელობა. შემდეგ გამოვიდა დათიკო ხარტიშვილი, ზედგინიძე. ლადო კეცხველი, არავიაშვილი, ოქუაშვილი, ილიკო კოპალეიშვილი და სხვა. მშენიერი სანახაობას წარმოადგენდა ჩვენი დღესასწაული. მუშაში პატარა წითელი დროშა, გარემო გამოილი სუფრა შემომსდარ ამხანაგებით.

მე არ შემიძლია გადმოვცეთ ის ღრმა ვანცდები, ის ბედნიერება, რომელსაც მაშინ ჩვენ ყველანი გვრძნობდით. მაგრამ ყველა ჩვენგანს ის გვაწუხებდა, იმ დროს, რომ ჩვენს წრეში, ჩვენს სუფრაზე, არც რუსი ან სომეხი ამხანაგი არ იყო. მიზეზი ის იყო, რომ მათ კიდე უფრო გვიან ჩაებნენ რევოლუციონურ მოძრაობაში, ვინც ჩვენ.

უუზივართ გარემო. ფრიალებს წითელი დროშა. რომელსაც არავითარი წარწერა არ აქვს, მაგრამ უმისოდაც ყველა ჩვენგანს მის ჯადოსნურ ლაპლაპში ესმის იღუმალი ხმა:

„მე თქვენი დროშა ვარ, თქვენი ძმების სისხლით ვარ შედგბილი. შემოკობთ ჩემს ირვკლევ. მედვრად წინ ბრძოლის ცეცხლში. მე თქვენი მიყვანენ სოცილიზმის სამეფოში“-ო. ჩვენც მას შევფიცეთ: ჩვენ მას მივეციეთ ჩვენი პირველი რევოლუციონური სიტყვა, რომ ვიბრძობებთ მუშათა კლასის საკეთილდღეობა, ვიბრძობებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და სანამ ცოცხალი ვართ, ძირს არ დაუშვებთ ჩვენს წითელ დროშას.

სალამოს ხუთ საათზე დაიწყო ჩვენი ზეიმი. მეორე დღესვე შეუდგეთ ახალ ამხანაგებში მუშაობას. და რამდენიმე თვის შემდეგ, თუ 1899 წელს ორი თუ სამი წრე არსებობდა 1900 წლის დასაწყისში მარტო რკინის-გზებზე უკვე 15-მდე წრე იყო. ასეთივე წრეები გაერთიანდა ქალაქის სხვადასხვა ქარხნებში და ხელისნეები თითო წრეში შედიოდა 5-დან 7 ამხანაგამდე. მუშაობა სწარმოებდა ძირითად კონსტრუქციული. უნდარბოა სამ-მართლებზე ვერაფერი ვიყო ჩვენი მუშაობისა.

მოახლოვდა კიდევ პირველი მაისი.

ორგანიზაციამ მომცა წინადადება დამეხატა დროშა პირველი მაისისთვის. მეც შეუდგეთ მუშაობას. ერთად ეცხოვრობდით: მე, ვ. სტურუა, ლ. მამალაძე და გ. ნინუა ელისაბედის ქუჩაზე. სამი დღის დატყუვებული მუშაობის შემდეგ დაეხატა დროშის ხატვა. წარწერები იყო: რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, ლოზუნგები: „გაუმარჯოს 8 საათის საღმურა დღეს, გაუმარჯოს საერთა-შორისო დღესასწაულს, პირველ მაისს, ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ძირს კაპიტალიზმი. გაუმარჯოს სოციალიზმს! დროშაზე სამი სურათი იყო გამოხატული: კარლ-მარქსი, ფრიდრიხ-ენგელსი და ლასალი.

გაიენდა პირველი მაისი. ღრუბლიანი დღე იყო. წვიმა ცრის. გული დინდებდა; ვფიქრობ: თუ მაგარი წვი-ზა მოვიდა, ხელი შეგვეშლბა-მეთქი.

დილის ცხრა საათია. ამხანაგები სანოვაგით ხელში გავუდღქით დანიშნულ ადგილისაკენ. ადგილი ნაძალადევის გორაკზე, გზადაგზა ჩვენ მიერ ავითრული გზის მიხედვებით დგანან და გამკვლავს გზას უჩვენებენ. ყველას პაროლი აქვთ მიცემული. უმთავრესი არის ენობა მათ. ადგილის განიხილა და მისი უშიშროებისა-გან დაიცვა ქინდა დაეაღებულ რკინისგზელ მუშებს, რომლებიც შეიარაღებულნი გარს უვლიდნენ კრების ადგილს და მტერს ზეირავდნენ. მართლაც სავეცხოვო ადგილი იყო გამოჩნებული. გარშემო მთები შუაში სწო-რი მიწოდო, თითქოს ბუნებას განგებ ვაეჩინა, რომ მტერს არ მისცემოდა საშუალება გავყო საიდუმლოება მუშათა კლასის მომავალი ბედნიერებისა. მიუხედავად იმისა, რომ დილა მერათ ცული იყო, მუშები დანიშნულ ადგილს უჩვენებდნენ გამკვლავდნენ.

თუ 1899 წელს პირველ მაისს 42 ამხანაგი დაესწრო 1900 წელს ეს რიცხვი უკვე 400-მდე გაიზარდა. ვაჟს, ფიცი არ დავიწყებია: ყველამ პირნათლად შეასრუ-ლა მისი აღთქმა.

12 საათზე გაიშალა სეფრა, შუაში აიბარა ჩემ მიერ დახატული წითელი აბრეშუმის დროშა, რომელიც ცეცხლის ალივით აპრიალდა მხეზე. მისი დანახვა ყვე-ლას გულში რევოლუციის ნაპრქვლებს უღვიძებდა, ყველა მუშა სიხარულით ავლდებდა მას ხელს, სასოე-ბით შეაჯერებდა მას, როგორც მოგვები თავის სათაყვა-ნებელ წარსკვლავს.

ზეიმი გახსნა არაქელა ოქუაშვილმა. ივრილა მარ-სელიოზა. ეს იყო ზეიმის დასაწყისი. არაქელას ცვლის: ილ. კობალეშვილი, მას კარაჯევი, დამასტროვი, კუბ-არშვილი, ცერცვაძე, სტურუა, ხარტიშვილი და სხვადა-სხვა...

ყველა სიტყვების შემდეგ გაუფუნებს მარსელიოზა და კაუმარჯოს!

ბევრ მუშებს მეტის სიხარულისაგან (კრემლები სდიოდათ თეალებზე, აგვი ჩვენ დარაჯებს მოყავთ რა-მაღდენიმე ცხენოსანი კაცი დატყუვებული. მათ ზეიმის აზლოს ჩაუვლიათ და მეცვლებს ემევი შეპარებულა ჯამუშები არიანი და დაუტყუვებიათ. ისინი ჩაურთეთ ჩვენს ზეიმში, მათ გვი წარმოადგინათ რა დღესასწაუ-ლია, გაეკრებებოდა შეტყუარან წითელ დროშას, გამო-ხატული სურათები მათთვის უცნობია. ეკითხებიან მუ-შებს: სურათები ხატებს არ გავს, ვინ არიანი. მუშებიც უხსნიან გულმოდგინეთ, ვინ არის კარლ მარქსი, როგორ იცავდა მუშებს და გლეხებს და სხვა. ისინი აღფრთოვა-ნებულნი არიან სანახაობით და ულოცავენ მუშებს გა-მარჯებებს...

ზეიმი სალამოს ოთხ საათამდის გავრძელდა, აღ-ფრთოვანებული და აღვლავებული მუშები ეხლა ქალა-ქისაკენ იწვევენ დროშით, ითხოვენ დროშით ჩასვლას ქა-ლაქში. კონსპირაციის გრძობა უკვე დაკარგა ხალხმა. პერში გააქვს გრაილი რევოლუციის. ხელმძღვანელები იძულებული შეიქნენ მოეწოდონ მუშებს მშვიდობიანო-ბისაკენ. ვადაწყდა ზეიმის დასრულება. ხალხმა მოი-თხოვა დემონსტრაციული ვაგლა დროშით ხელში. მუშები გაიშალა მიწვევად.

წინ დროშით ხელში მიდის ვლასა მეკლადე, არავის ანებებს დროშას. მას უკან მისდევს მუშები და აგუფუნებენ მარსელიოზას... ნაძალადევის ახლო იძუ-ლებული შეიქნენი ვლასასთვის დროშა წაგვირობია, რათა ჩვენი დღესასწაულს არ მისცემოდა პროვოკაციის ხასიათი. ვლასამ დროშა არ დაეკეთაო. ქილინის დროშის ტარი შუაში გადატყდა... მუშები დაეშვენ ნაძალადევის ფერდობზე. სალამოს, პოლიციამ უკვე ყველაფერი იცოდა, მაგრამ ჩვენ უკვე ჩვენი საქმე გავაყეთეთ. გა-მოჩნდა კიდევ პოლიცია და კნახები, მაგრამ დღესას-წაულის ალვაი უკვე ცარიელი დაუხვდა. მეორე დღეს მიელ ქალაქს და სახელისწილებს მიეღო პირველ მაისის დღესასწაულის ამბავი. ბევრი ამხანაგებიც გვისაყვადუ-რებდნენ: რატომ ჩვეც არ წაგიყვანეთ? რე თუ არ ვიყა-ვით ღირსი თქვენთან მიგველო მიმწაწილება ზეიმშიო და სხ. ამ დღესასწაულზე კიდევ დიანდა რევოლუციო-ნური ფიცი, მომავალ პირველი მაისი. იქნეს გადამხილი არა მთავედ დამალული, არამედ ქალაქში. 1900 წლის დღესასწაული უმტკინელი იხატარა, რამაც უფრო გაათამამა როგორც ხელმძღვანელი მუშები, ისე მათი მიმდევრები.

თანახმად 1900 წლის დადგენილებისა, 1901 წელ-საც ორგანიზაციამ გადაწყვიტა მანიფესტაციები შივ ქა-ლაქში მოეწყო და შეუდგეთ მზადებას. მე კვლავ მივი-ღე წინადადება გამეკეთებია კიდევ უფრო კარგი დროშა. მეც საქმეს შეუდგეთ. ჩემს ბინაზე მუშაობა საშინი იყო. ამიტომ მე დროებით გადავბარდი მუშა ა. ნაცვლოვის ბინაზე. მივლი დღე ჩაკეტილში ვმუშაობდი. დროშას მივივებთ ჰქარავდა ამხ. სონა ნაცვლოვისა. სამი დღის შემდეგ უკვე ყველაფერი მზად იყო. დროშა ჩემი სახ-ლიდან წაიღო არაქელა ოქუაშვილმა. დროშის ტარის მომზადება და ტენიკური მუშაობა დაეცალა რამდენიმე ამხანაგს.

დანიშნულ დღეს, ესე იგი 22 აპრილს (ძველი სტი-ლით) 1901 წელს, წავედი დანიშნულ ადგილისაკენ. ავ-ქლის აუღებორასთან შევიხდი. მამალაძეს და გ. ნინუას. იქვე დუქნაში ვისაუხმეთ. ამ დროს ილ. მამალა-ძე ჯიბიდან იღებს ნაგანს და გააჩვენებს, შეიძლება ამან დღეს ისახელოს თავიო. ჩვენ ვეხვეწებით: მას ვადმოცეა ჩვენითვის, შენ კოქლი ხარ, რათ გინდა ნაგანი? ის გვეუ-ბნება: უბედურებაც ის არის, რომ თქვენ კარგი ფეხები გაქვთ, თუ სუსხი მოგადგათ—გაიქცევით, მე კი გაქირე-ვის დროსაც ვერ გავიქცევი და მაშინ ნაგანმა უნდა მი-შველოსო... მივედი დანიშნულ ადგილას. ბაზარი უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა. მისული ხალხი მოვაჭრებს არ გაინდა; მათ ხელში „კარხინკები“ არ ქინდათ. ყველა ისინი შვი ბზის ჯიხებით იყვენ შეიარ-აღებული. პოლიციასაც არ ეძინა, ისინიც გაძლიერე-ბული რაზმით დადიოდნენ ხან აქით და ხან აქეთ. ბო-ლოს ერთ ადგილას იწყეს მოგორება ოლქმანდროვის ბაღის კუთხეში. ხელმძღვანელი ბოურო იძულებული შეიქნა ადგილი შეეცვლა და დემონსტრაცია დაეწო სილდათის ბაზარში, ძველი სემინარის გვერდით, მუშები-ნელ-ნელა გავისტუმრეთ ამ ადგილისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაზარი დაიკვალა. პოლიციამ მიხვდა თუ რაში იყო საქმე და ისიც უკან გაყვა მუშებს. მანც მოა-გროვა თავისი რაზმი. პოლიციამ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ხელს არ გვიშლიდა. სემინარისთან მოუხერხებელი გამოდგა დემონსტრაცია. იძულე-ბული შეიქნენი ისევე ძველი ადგილისაკენ დებარუ-ნებულყავით...

ალექსანდროვის ბაღის კუთხეში გაიმართა ხელმძღვანელი თათბირი: რა გეხათ? პოლიციამ ყველაფერი იცის. დადგენილება მოვიყვანით სისრულეში თუ გადავდით? ერთხმით იყო მიღებული:—ან სიკვდილი, ან დადგენილების სისრულეში მოყვანა! გავარდა 12 საათის მარჯვენა ხელი ჩვეულებრივ ზარბაზნი. დანიშნულ ადგილს სწრაფთა შეგროვდა მუშები. არაქელს შემოგვეკარით გარს და აფრიალდა ჰაერში წიფრით დროშა! დროშის აფრიალებასთან ერთად აფრიალეს მუშებმა:—გაუმარჯოს პირველ მისს! ძირს თვითმპყრობელობა!

ჯერ გვერვინის ხმა არ შეწყვეტილიყო, რომ ჰაერში აღაპლავდნენ პოლიციელებისა და ჯანდარმების ხმლები... და გააძრთა ხელნათრული ბრძოლა. პოლიციელებმა ხმლებით გაიკაფეს გზა და სწვედნ დროშას. მაგრამ მტეროშე ხელიდან არ უშვებს მას. დროშა შუაში იხევა; ნახევარი მაქვს პრისტავს, მეორე ნახევარს უბეში მიაღვს მუშა. მედგარა იმიართენ შეინდისა და ბზის ჯიხებდა. არაქელა და სართანა ხანჯალ ამოწვდილი ტრაილებენ შუაგულში და იგერიებენ მოხვედებულ პოლიციელებს. დასისხლიანებული მუშები ყრიან მიწაზე; ზოგი გარისს, ზოგი დაჭრილ ამხანავს შევილის. არაქელა უკვე გაკოჭილი ყავთ, მისთან რამდენიმე მუშაა დაჭერილი.

ამ დროს მოდიან ცხენოსანი დრაგუნები და კახაკები. საშინელი წივილ-კივილია. თავგანწირვით იბრძვიან მუშები. ლეონტი მამალაძე ჩაუდგიათ კახაკებს და უმო-

წყალოდ სცემენ. ის იძრობს ჯიბიდან ნაგანს და ტყვიას უშენს კახაკებს. ერთი კახაკი ვარდება ცხენიდან. მამალაძეს მისციინდებიან და ფეხ-ქეშ თელავენ. მას უგრძნობლათ ავლებენ დროგზე და მიაქვთ ქალაქის საავადმყოფოში.

დაცალორდა ბაზარი... ბევრი დაიჭირეს, ბევრმა თავს უშველა. მთელი ქალაქი დაკეტულია. სრული სიწყინაზე მეფობს.

მხოლოდ ცოლები, დედები, დები ეძებს ქმრებს, შვილებს, ძმებს. არ იციან: ვის რა მოუვიდა. არ იციან: ვინ დაიჭირეს, ვინ მოკლეს და ვინ არის დაჭრილ-დასახიჩრებული.

დახ, 1901 წელს დამარცხდნ მოშობი. ბევრი მათგანი დასახიჩრდა, ბევრი გადასახლდა. ბევრს კატორღა მისცეს. მაგრამ ასეთი დამარცხება გამარჯვების წინამორბედი იყო. ეს იყო უდიდესი ყუმბარა, რომელმაც შეანარჩა თვითმპყრობელობის საუკუნოებით აშენებული მაგარი კედლები. მუშათა ასეთმა დამარცხებამ მოგვცა ჯერ თებერვლის და შემდეგ ოქტომბრის რევოლუცია...

მამ გაუმარჯოს საერთაშორისო პირველ მისის დღეს, გაუმარჯოს მუშათა კლასის სოლიდარობას!

ძირს ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, გაუმარჯოს მუშათა კლასის დიქტატურას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

კ. მაკარაძე.

პირველი მანისობა

(მოგონება)

მეოთხედი საუკუნისა გავიდა მას შემდეგ! ეს მაშინ იყო, როცა არტახებში ვაკრული მუშათა მოძრაობა კოშმარულ ძილისაგან ერკვეოდა. კუნთებს ჰშლიდა, თვალებს ახეღდა და ფეხზე წამოდგომას პლამობდა. შურისძიებით აგზნებული მტრის შემბროლებას აპირებდა. შემბროლებინათვის ვარჯიშობა იყო საჭირო. ძალების მოკრეფა, დაარზნვა და ჩვენც ვირახმებოდი.

წინა დღით შეგვეკარებინეს, რომ ხეალისთვის, შუადღის თორმეტ საათზე, ერევნის მოედანზე, დემონსტრაცია უნდა მოეწყო. ხოლო დღეს კი ქუჩებზე პროკლამაციები გაიფანტოსო.

მოკრძალებით მოწიწებით და სასოებით წავედით კონსპირაციულ ბინაზე. ასე მილიონები ალბად, სამლოცველო ალაგზე ძველი ქრისტიანები.

ბინა იყო მუშათა უბანში, ბნელოდა. დაბალი, ერთსართულიანი შენობის ფანჯარებიდან მკრთალი შუქი გამოყოფდა და ზოლებდ წვეებოდა გოროხიან ქუჩაზე.

პატარა ეზოში შევეხეეთ. აგურიით დაფენილი აივანი გავიარეთ და დაბალ ქერიან ოთახში შევედით. მძებურ ტეფიფის სინათლეზე ძლიერ გავარჩიეთ ამხანაგების სახეები.

ერთი მაღალი, შეწყვერულგაშვებიანი მუშა პროკლამაციებს ანაწილდა. სიხურე იყო და ცილი და მხოლოდ შიგადაშიგ მოისმირდა: „შენ რამედი ქუჩაზე წახვალ?“—„ერთად ნუ გახვალთ—სათითაო!..“—„ხვალ ხომ მოხვალ?“—„არ მეყოფა. კიდევ მომეცა!..“.

ლანდებივით ვირიოდით ერთმანეთში აღფრთოვანებული და სასოებით შეგპრობდნო...

მერე ქუჩები. ალაყფის ყარი. უბიდან ამოდებულ პროკლამაციის კუთხეში მივდებო. შესასვლელ კარში, დერეფანში, ფანჯარებზე, აივნებზე და კიბეებზე—თეთრი ფურცლების გაფანტვა.

მალოლი, ახრდილივით სიარული ქუჩებზე...

როცა უბეები ცარიელდებიან, აწყამად გაუვლი პოლიციელ გვერდით და მიღიხარ სახლს ლალი და შიარული—მდიდური, რომ შენი წვლილი შეიტანე დიდ საქმეში.

გული პურიკომივით ლევიდება, განიერდება. გინდა იყვირო, გინდა უსახელო სმით იმღერო დიდებული ჰიმნი თავისუფლებისა.

მეორე დღე. დანიშნული ალაგი ნელნელა ივსება შავ ბლუზიანებით. ერევნის მოედნის გარშემო და სასახლის ქუჩის მიმართულებით. როგორც მთის ნაკადი მდინარეში, ისე ირევა ალაგნებული და აღფრთოვანებული თვალები დემონსტრაციებისა, მოსიერე რიგეაში.

კვირა დღეა და ქვაფენილი გაქვილია მოსიერე ხალხით. ჩვენც მათში ვერევიით და ერთმანეთს შევხვდებით—გავუღვივებთ, გვერდზე ავევლით და თვალებით ერთმანეთს სილამს გადავცემთ.

მოხილია ალაყფის შივნი, სასახლის ქუჩაზე; ცხენოსან ყახახებს ვამჩნევთ. აღვირები ხელში უჭირავთ და კედელს გაკრობიან.

ჩვენ ვიცით, რომ ისინი ჩვენთვის არიან გამზადებულნი და ეს უფრო ვამჩნევებს ჩვენ.

— ჰხედავ, ყახახები მოუყვანიათ!

— ჰო ვაგებული აქეთ!

— მოედნის გარშემო რა ამბავი პოლიციელები დადიან?

— ჯაშუშებს ანჩევ? გველებით დაცვებიან!

— როგორ უნდა ლეჩქნდეთ?

— მოიცა!.. ნახათო!..

და ჩვენც დადილივით მომენტის მოლოდინში.

დემონსტრანცია ერევნის მოედანზე უნდა მოხდარიყო.

მოედანი საესე იყო პოლიციელებით—გადასვლა, შექუჩება და დროშის აწევა. შეუძლებელი ხდებოდა.

სათის ისრები დანიშნულ დროს უკვე გადასცილდა. სხვადასხვა ქუჩებზე მოსიარულე დემონსტრანტები მოედნის გარშემო შემვიდბარვდნ. ყველას სახეზე მოუთმენლობა და აღფრთვა იხატება.

ვაი თუ ვერ მოვახერხობთ დროშის აწევა და მაშინ დაგროვილი ბოღმა გულში როგორ უნდა ჩაიკვლიათ?

როგორ უნდა გიხაროს მტერმა—ჯაშუშებმა და ყახახებმა? შეუძლებელია ისე დაშლა, რომ დროშა არ ავწიოთ! მაგრამ, როგორ? ერთმა ჯგუფმა რომ ასწიოს კიდე. სანამ სხვები შეგვიერთდებიან, პოლიციელები ხომ დაგვანტავენ?

კეტების მსგავსი ჯოხებით. შიბლუზიანები გაშმაგებით დადიან მოედნის გარშემო. ქარვასლას გარს შემო-

უვლიან, ჯგუფთან შეჩერდებიან, წაიხრჩხულდებიან და ისევ დაიმალებიან...

მაისის მზის სხივები აიხშაღ ეფინება დემოსტრანთა სახეებს და გულის სიღრმეში იფანტება ალფროთიანების ჰანგბადი. ხოლო დრო ვადის და მოთმინება იყარგება. ქუჩაზე და მოედანზე პოლიციელთა რაზმი მრავლდება. „რა ექნათ! რა ექნათ!“ სახეზე ისახება. გულში ჩაკლული სიტყვები.

უეცრად ქარვასლის მეორე მხარეს. პუშკინის ქუჩაზე. მოისმის:

წმინდაააოოო ღმევეერთოოო, წმინდაააოო ძლივეეროოო...

ნელი ნაბიჯით წინ მიდიან მომღერლები. მერე კუბოს თავი. შემდეგ ინდოურვიით აფხორილი, ფარშავანჯის ფრთებით აჭრელბული ღვდლებს ეილონები და კუბოს გარშემო შეჯგუფული ხალხი—ჭირისუფლები.

ერთი დემონსტრანტის თავში გაიფლევს აზრი: რა იქნება ვისარგებლოთ პროცესით, შევჯგუფდეთ და მოედანზე რომ გავალთ, დროშა ავწვიოთ?

აზრს უზიარებს მედროშეს, მასთან მყოფ ჯგუფს. ჯგუფი ჩოჩქოლდება. იშლება. სხვა ჯგუფებს უერთდება და პატარა ხნის შემდეგ ორიოდე ათეული დემონსტრანტებისა და მედროშე უკვე კუბოს მისდევენ ერეცის მოედანსკენ.

ვინა მიცვალბული? იქნებ მუშა, ან ხელისანი! თუ მუშაა, მაშინ ის თავის უკანასკნელ ვალს იხდის—დემონსტრაცია რომ მისი მიზეზით ეწყობა.

წმინდაააოოო ღმევეერთოო, წმინდაააოო ძლივეეროოო...

ისმის გუნდის გალობა.

პირველი მაისი გუზინ და ღღეს

ისე არც ერთი დღე არ გამოხატავს, საზოგადოებრივი კლასების სულიერ განწყობილებას, როგორც 1-ლი მაისი. საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ის ყველაზე უფრო საყვარელი და სასენტარო დღეა, მეორესთვის სევედების მომგვრელი და ნერვების ამშლელი. პირველი მაისი ერთს მიაჩნია თავისი ბუნებრივების სიმბოლოდ, მეორეს თავისი ბატონობის დამტყვევლად, მის მესაფლავეთ. მუშათა კლა სისათვის ის არის იმედის მომგვრელი, ხოლო ბურჟუაზიისთვის მისი უბედურებისა და დასასრულის მოახლოვების დღე. ისე არც ერთი დღე არ აამჯარავებს ორი. ერთ-მეორის მოწინააღმდეგე კლასების—პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის სულიერ განწყობილებას, მათ შორის მტრულ განწყობილებას, როგორც პირველი მაისი.

სულ სხვა დამოკიდებულება აქვს ამ დღესთან წვრილ ბურჟუაზიას, ესე იგი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც არც ბურჟუაზიას ეკედლება და არც პროლეტარიატს, საზოგადოების იმ ფენს, რომელსაც ბურჟუაზიასთანაც გატდენია ფეხი. ესე იგი საშუალო დეუკარგავს „გაბურჟუების“ იმედი და ჯერ არც მიაღია პროლეტარია საზოგადოების ამ ნაწილს არ ეთმინა პირველი მაისისა და მისი წითელი დროშის. ის მზად არის მას თანაუგრძნოს ძვარამ მან მწარე გამოკიდებულებით იცის, რომ ამ თანავრ ნობისთვის მას არ მოუფერებთან, რომ მას ცემა-ტყეპითა და ციხეებოთ გაუმსაპინძლდებიან თვითმპყრობელობის აბეჭებოთ...

მასსოვს ასეთი სურათი პირველი მაისის წინა საღამოს: ქუჩებში გასანბნევი და გასაკრავე პროკლამაციები უკვე ამხანაგებს დარიგებული აქვთ. მუშები ჯგუფ-ჯგუფით დადიან ქუჩებში და ხვალისდღე ბრძოლის მოედანს ათვალეერებენ. ორი მოხალისელო წვრილი ვაჭარიც, პირველ მაისობაზე ეკამათებიან ერთ მუშას:

თქვე დალოცულებო, აღარ უნდა მოგვასვენოთ? შარშან რა დღე დაგვაყარეს თქვენცა და ჩვენცა, აღარ უნდა იკმართო? შარშანდღეი კახაკების მათრახით ნაცემი დღესაც ვერ მომშუშებია. ორი თვე, ცხეში მამყოფეს:

ჭირისუფლებს უკან ჩოჩქოლით მისდევენ შავბლუზიანები.

— აბა, წყნარად სანამ მოედანზე არ გავალთ!.. ათრობლებული ნაბიჯი, ალღელება და თვალები, როგორც ანთებული სათლელი..

პროცესია მიდის, როგორც მთის და ბარის ორი მდნარე ერთმანეთის რომ შეერთიან, მაგრამ თვითელი მათგანი რომ თავის ელფერს მაინც არ ჰკარგავს...

უეცრად მზის სხივებზე აელვარდება წითელი ფერი. შექანდება. შეტორტმანდება. აფრიალდება ერთხანად შეჩერდება. მერე მოედანსკენ გაიწვეს...

და აირევა ერთმანეთში დროშისკენ გამოქცეული ჩახმაზივით მოხრილი შავბლუზიანების ფეხები, პოლიციელების კარტუზიანი ქუდები და ცხენებზე მჯდომ ყაზახების ზონხები. სირბილი. სტეენა. ყვირილი. მათრახის ტლა-ტლუში.

შეჯგუფულ ალაგს დროშა ტორტმანებს. ჭირისგან მოტეხილი ტოტვიით იბხევა. თანდათან ძირს იწვეს და შეკრულ თავების ტალღებში ანთქება.

ცხენების მკერდი. ნესტიანი ცხვირი, ამვერილი ბიარალი—ჯგუფში იჭრება.

ახლა სათითაოთ გარბიან. წაქცეულებს თავს ასტეზიან. ფილონებში გახვეული ღვდლები, კედელს აკვირან. იქვე კუბოს გარშემო, ჭირისუფლები შემორტყმიან. ყაზახების ისინი დემონსტრანტები ჰკონათ. ცხენები იქაც მიიჭრებიან.

გამტერებული, გაკვირებული, სახეები ღვდლები-სა,—ყაზახებს წინ ვადელობებიან... ყაზახები მათრახს მოიქნევენ და მღვდლებსაც გაჰმანტავენ.

მოედანი ცარიელიდება. პოლიციელებს დაჭერილები მიჰყავი...

დავით ხულიაშვილი.

„ბუნტოვნიკი“ ხარო. ვინ, კაცო, მე და „ბუნტოვნიკი“? მაგრამ დუქანი რომ მიკეტული მქონდა და მე კი გვერდზე წიწილასათვი ვიკავი აბუხული, აისათვის მტკემს იმ წყეულმა კახაკებმა.

ვა, გეყო ეს ოხრებო? დუქანს რა დამაქტენინებდა, მაგრამ ე თქვენც რომ ხათა განდით! ამიკრავთ დუქანზე რალაც „პროკლამაციასო“ და, თუ ბიჭ ხარ, ნუ დემორჩილები და გააღე დუქანი. იაგრა არ იყო, რომ ააკორი-ალეს ვირივითა ურბობსთვის? ახარ, დღემოთ ეს რა დრო დავგიდგა? ყველასი უნდა გვეშინოდეს. დაკეტვე, კახაკებს უნდა ზუღვი თითონ მიუშვირო: ჰა, მოდი, მტემე; „იხიავით“ ვარო. არ დაკეტე და ყოველდროს ბომბის შემოგორებებს უნდა მოელოდე. ვაჰ! ვაჰ! ვა! ეს რა დრო დავგიდგა, ვისლ ჩემო? წაედეს და აღარ მოვიდეს თავის დღეში. აააა ჰა.

იცი, გეო, რა გითხრა.—რომ პირველი მაისის ამოცხეკა შეიძლებოდეს კალენდარიდან, ას თუმანს მარტო მე დავხარავდე, აი! რა ამბობ კაცო! რაც დღე მე შარშან დამადა, იმას ჯოჯოხებით მეჩრია. დუქანი დავკეტე პროლიციას რა უთხრა? არა და ჩვენი ბიჭებისაც მეშინია. მეჩრე ეგ რალაც ოხერი პროკლამაციო რომ ზედ დუქანზე ამერკეს! შარშან ჯარის ფორმათი მქონდა, როგორც დღეს; რალა. მონდგომიან სალდათებო; გინდა, არ გინდა, ვაღე ქება: „პროკლამა უნდა წავიკეთო. ვეხვეწებო: თუ დემორჩი გეწამთ, ცოტა მატალეთ, ხალხი მოლაგ-მოლაგდეს და დუქანსაც მეჩრე გაიღებო, რაც გინდათ, ის წალეთ მეტე. ამ დროს მოდის პრისტიკიკახაკებით და ღრიალებს:—შენც ბუნტობ, თუ რა ამბავია, დუქანი რომ დავიკეტე-რაიო? თანაც დუქნის კარებზე აკრული პროკლამაიკი კოხულობს.

უტებო: „ბეიო!“—დაიძახა და, მახსოვს, ათმა კახაკმა თავ-პირში დამიშინეს მათრახებით. მერე კი არ ვიცი რა მომივიდა; არა მესმოდა რა. მეორე დღესაც კი უჩასტკაში ვამეღეიძა, თავ-პირი დასივებული მქონდა ნაცემი. თვე ცხეში გავატრავე და დიდის ხარკითა და ვი-ვაგლასით რო

გორც იქნა გამანათვისფულეს. ეხლა ეს ოჯახ აშენებულ-
ლები ხელაღ ასეთ ჯოჯოხეთს გენითებენ. ვა, ღმერთი არ
არის? მოგვასვენონ რაღა!

ასეთ ბაას ხშირა დმოკრავდით ყურს პირველ მა-
ისის მოლოდინში წერაღ ვაჭრებს შორის. მეორე დღეს კი
ეს ხალხი საცოდავად იყო ატულული დაიჭიოთ თუქნების
წინ და პრისტავის დაყვირებისთანავე აღებდენ დუქნებს.
შუშები კი მეღვრად მიემართებოდენ წინ დემონსტ-
რაციის ადგილისაკენ. ერთ ქუჩაში რომ პოლიციელები
მათრახების ცემით დაშლიდენ, ხელათ მეორე ქუჩაში გა-
ჩნდებოდენ და კვლავ მიემართებოდენ დანიშნულ ადგი-
ლისაკენ... შეკრავდენ წრეს და ვინმეს ბეჭებზე ახტებო-
და აგოტატორი და დაიწყებდა მჭეჭარე სიტყვის პირველ
მაისის მნიშვნელობაზე. მას მოყვებოდა წითელი დროშის
აფრიალება: რაც, როგორც ხარებს ისე აფრთხობდა პო-
ლიციელებსა და კახაყებს, რომლებიც გამეცემული და

ერევოდენ ხალხს და დაიწყებოდა ცემა და ხელჩართული
ბრძოლა.

ამ დღეს იგებოდა ციხეები და ბიჭრი მებრძოლი მუ-
შა იგზავნებოდა ციხეების ცივე ქვეყნებში და კატორა-
შიც. ასე ვდღესასწაულობდით პირველ მაისს ყოველ
წლობით.

დღეს? დღეს ჩვენ აღარავისი არ გვემინია, დღეს ვე-
ლარაინ დაგვიხვეს ჩვენს წითელ დროშას, ვერ გვეცემენ
მათრახებით.

პირველი მაისი ჩვენთვის მთელი ქვეყნის მუშათა სი-
ლიდარობის დღეა. ჩვენ, საბჭოთა კავშირის მუშებმა და
გლეხებმა უკვე მივალწიეთ მიხანს და იოგეს პირველი მაი-
სი ჩვენთვის უფრო ისტორიული დღეა, როცა ჩვენ ვი-
გონებთ ჩვენს რევოლუციონარ წარსულს, სასოებით ვი-
გონებთ სოლიდარობისთვის თავგამოდებულ მებრძოლთ,
დაღუპულ ამხანაგებს.

ლ. კუპრაშვილი.

საკირველმანის

წუხელის ღამით

(ზაქანი)

იციანს დილა,
მაისის დილა,
წითლად იციანს
წითელი ზეცა;
ხმელეთი იქცა
წითელ სიცილით,
წითელ სიცილით
იციანს მზეცა!
ვიშ, აღტაცება,
ვიშ, ნეტარება,
გულმა სამღურღალდ
დაიფთხარაღა;
დღეს წითელ არწივს
დაიდათება
წითლად მფრინავი
დროშა შრიალა!
როგორც მთლიანი
ერთი კრებული
ხალხი ქუჩებში
გამოიღვარა
და სატრიუმფოდ
ამღერებული
ქალაქი მძლავრად
აახანხარა!
დროშების წყება
წითლად მშუქარა
მოდის, მოღვლავს
წითელ მდინარეთ;
მარსელიოზამ დაიმქუხარა;
პროლეტარებო,
გამოდით გარეთ!
დილა კი,
პირველ მაისის დილა
სხეცა დახვედით
გვიქარგავს ალამს,
როგორც ყაყაო
ისე გაწლილა,
გადაქცეული
წითელ სიცილად—
გვიგზავნის სალამს!
ასე იციანს
წითელი დილა,
წითელი მზე და
წითელი ზეცა;
მსოფლიო იქცა
წითელ სიცილად,
წითელ სიცილით
ვიციანს მცეცა!

ბ. ქუჩიშვილი.

წუხელის თბილისს რა უხაროდა?
ან მთვარე ცაში რად გაებუტა?
ნეტავი, მტკვარი რახედ ცხარობდა,
ზვირთი რომ ყველა გულში ეხუტა?!
მან ავქალიდან მოჰგვარა ქალაქს
საპატარძლო პირაბდი ზავეს,
სახე რომ შიურს იჩენდა ძალას,
მზღებელთ ზეგსური რომ შემოსახეს...
ქუჩები ყველა მზის ქალას ჰგავდა
და არა რალაც ავქალის გზენბას:
ყოველი სვეტი სიცილით რწყავდა
ამ საქორწილო მეჯლიშის სეფას!..
და მამადავითს სუფრის თაობა
ახლა დიდებუემ გამოაცალა,
ნაძალადევის ხევი - მთაობა
ამერიქიფა და „აახანხალა“..
რას იქდა? სიძის ძმა პირველი
და ვერ დაუთმო უცხოელს ღვინო,
არის სასმისთა ხელში მჭირველი,
აფსუს, უმისით, ყოველი ღვინო!..
ეს მზის ეპოქა იწყება მისით,
ლალის და ქარვის ის არის მზნევი,
ახლაც ამ ქორწილს ღვინის სასმისით
თავს დასტრიოლგბს, ვით წვეთულს — მწვევი!..
და ქვეშ ქორწილის გაწლილი სუფრა.
ისე ელავდა წუხელის ღამით,
როგორც დღეს ეს დღე, ნათელი სუფთა
მზის ელვარებით და ცის კამკამით!..
და თუ ამეღამც, როდესაც თბილისს
ზავესი გულში ჩახუტება,
მთვარე მას ცაში თავს გადაუღვლის,
დარცხება და კვლავ გაებუტება...
ს. ზომლეთელი.

პირველი მანისი

დღე დაგვიღვა მაისის დღე
დღე დაგვიღვა, დღე ნეტარი,
დღეს ზეიმობს მშრომელ ხალხის
თავგული პროლეტარი.
გვაგონდება პოლიციელთ
ღენა ამ დღეს მშრომელ ხალხის,
ყახებების დარევა და
დედებისგან ჩაცმა თალხის.
წითელ დროშის დანახვაზე
მხედებოდნენ ხალხს იჭერდენ,
მათრახების ტრიალთა

დაპლანტავდნენ, დაარბევდნენ. მაგრამ მისეც ვერ აფროხოზდნენ გამობრძმელო მუშის გულეებს, ერთის მიზნით ვატაცებულთ, და ზეირაკდ გამზადილეს. და მედგარის სიმღერითა კვლავ ყოინა გაისმოდა, და მით ჯალათების კრებულთ გულს ლახვარი დაესოდა. და ამ პირველ მისობას შეხპაროდნენ ყოველ მხარეს. ამ დღეს ვერც ერთს ვერ ნახავდით, მტრებს გარდა, მგლოვიარეს. და დღეს, როცა თავის შრომას თვით აფასებენ მშრომელთ მასა, ერთ ოჯახში თავ-მოყრილი მისცემია განცხრომისა, სიხარულთ ელოდება პირველ მისს შეხვედრასა, როს ხმას მისცემს წითელ დროშით ხალხის ზოვისა ბობოქარსა.

პატარა მუშა.

გ ა ჯ ე ს ი

შენსკენ ისერიან მახვილ მზერას ქვეყნის თვალები, გიგანტიურთ ჩირაღდანო, ზაჰეს დიალო; შენ მოგაქვს ეხლა საქართველოს ფერისცვალება, სულსხვანაირი დამეებისა და განთიადი. ახალ ცხოვრების, ინდუსტრიის შენ ხარ სიგაილი. შენში მარხია ენერჯია მილონიების; აწყება გულზე საუკუნის მძაფრი გრიგალი. რომ მზისუროდეს მოთვლილიყი ყველა მონები. დედუნებს მტკვარი ათასწოლობით დაგროვილ ბოღმის. არავე ზვირთებს ათამაშებს მთების სხაურობით; და მობიბინე ნაპირებზე გაღმა - გამოღმა, ისმის სიმღერა და შენება დღეს უცნაური. შენსკენ ისერიან მახვილ მზერას ქვეყნის თვალები, გიგანტიურთ ჩირაღდანო, ზაჰეს დიალო; შენ მოგაქვს ბნელი დამეების გარდაცვალება, ახალ ცხოვრების ელნათება და განთიადი. თბილისი მღერის, როკავს ირგვლე წელი ახალი. ცანცანებს მცხეთის მონასტერი უძველეს ხავსით; მოდის დღეებში მზენამღერი და ქედმაღალი. დღეებში შმავე, აბორგებულ ბორბლების მსგავსი. დაგყურებს თავზე შენ აჩრდილი დიდი ლენინის, თვალანთებული წარბებიდან დიდებს აცვენს; ესპის მტკვრის სედა დროსაზღვირიდან გადადენილი, ხედავს ქართული მაჯისცემას და სიმამაცეს. ეხლა დრომ მოგვცა ხელთ ნამგალი, ურო-ჩაქუჩი, ეს მზე. ზაჰესი გვიანთებდეს ერთგვარად ყველას; ეხლა ეს გული ყოველ მშრომელ მოამეს ვაიუქე და მტრებს ვესროლე ჩვენება, მარადი ყველა. შენსკენ ისერიან მახვილ მზერას ქვეყნის თვალები გიგანტიურთ ჩირაღდანო, ზაჰეს დიალო; შენ მოგაქვს ძველი საუკუნის გარდაცვალება ახალ ცხოვრების კლნათება და განთიადი.

ალუდა შოველი.

სოლიდარობის დღესასწაული

მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე დაწესებულ იქნა პირველი მისი, როგორც დღე მუშათა კლასის საერთაშორისო გამოსვლის, თავის ძალების დასათვალადიერებლად, პროტესტის გამოხატაქმელად, მ საათის სამუშაო დღის მოსაპოვებლად და მთელ რიგ პოლიტი-

კურ - ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებივითა წარსადგენად მყელეფელ კლასისადმი.

დღეს მსოფლიო პროლეტარიატი მე-38 მისიობას უქმობს, მიუხედავად ამდენი ხნის, საერთაშორისო მუშათა მთლიანობა ჯერ კიდევ განუხორციელებელი ფაქტია. პროლეტარიატის რიგებში ჯერ კიდევ დაქაქსულია, რაშიც მთავარი დანაშაული მიუძღვის მეორე ინტერნაციონალს. იმის მაგივრად, რომ მან ხელი შეუწყოს მუშათა მასების ორგანიზაციულად დარაზმვას. კამიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, ის მიუწოდებს მუშებს სამოქალაქო ომის წინააღმდეგ. ის უარსსყოფს რევოლიუციონურ გზებს და მუშებში სამოქალაქო ზავის იღვას ნერგავს.

დღეს მხოლოდ კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშათა შემქმნდროველ რაზმებს საბრძოლველად. მხაგრელთა წინააღმდეგ ხმის ასამღლებლად.

ბურჟუაზია მისის მოახლოებისას ყოველთვის იწყებდა მუშათა კლასზე ნადირობას, მაგრამ არც ერთ ძალას არ შეუძლიან შეაჩეროს მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება, რადგან სოციალიზმი ის ისტორიული აუცილებლობაა.

ეს კარგად ესმოდა და ესმის ბურჟუაზიას და სწორით ეს არის მიზეზი, რომ ასე გააფთრებული ებრძოდა და ებრძვის იგი მუშებს. მას სურს როგორმე გაახანგრძლიეოს თავისი ბატონობა, მაგრამ ამაოა. ბურჟუაზიის ეს ცდა უნაყოფოა. ამის უდიდესი მაგალითი ჩვენ უკვე გვაქვს: რამდენი სისხლი არ დაანთხია რუსეთის თვითმპყრობელობამ, რამდენი სიცოცხლე არ დააქწო ციმბირკატორაში, რამდენი მუშის მკერდი არ გაგმირა ტყვეით, მიუხედავთ ყოველივე ამისა, დღეს ძველი მოსკოვის ძველ კრემლზე ამაყად ფრიალებს პროლეტარიატის ძლევამოსილი წითელი დროშა.

პირველი მისის მნიშვნელობა სხვადასხვანაირია იმისდა მიხედვით, თუ სად რა პირობებში უხდება მუშათა კლასს მისი ჩატრება. ერთნაირი მნიშვნელობის არ იქნება პრველი მისი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხისათვის და ევროპა - ამერიკის და აზიის მუშათა კლასისათვის, რომელიც გმინავს კამიტალისტური მძიმე უღლისქვეშ და რომელიც მოუთმენლად მოელის განთავისუფლების უამს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, რომელმაც თავიდან მოიშორა სულის შემუშთავი თვითმპყრობელობა, — ხელთ იგდო სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და საფუძველი ჩაუყარა ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს დღეიდან საერთო არაფერი არსებობდეს ჩვენსა და ევროპა - ამერიკის პროლეტარიატის შორის.

დღევანდელი ზეიმის დროს საბჭოთა მუშათა კლასს და გლენობას არ ავიწყდება სხვა ქვეყნის მრავალი მილიონი პროლეტარიატი, რომელიც ამაჰამდ სისხლიდან იცლება კამიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირაქით, საბჭოთა წითელი მისი იმედით სავსე ყოინით გადასახებს ჩვენს ქირსა და ლხინში განუტრეკლ ძმებს, დისავეთის და აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელებს: „იბრძოლეთ მედგრად, ჩვენ მუდამ თქვენთან ვართ, ჩვენ თქენი იმედე გვაქვს და თქენი ურყევედ გწამდეთ, რომ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში საბჭოთა რესპუბლიკების რკინის რაზმები თქვენთან იქნებიან“.

ამ ღოზუნგმა უნდა გააერთიანოს დღეს ყველა ქვეყნის მშრომელი.

ს. მესტიაშვილი.

დაუღევე როზათი...

ჩვენი მოწინააღმდეგეები, ხშირად იშველიებენ ხოლმე თავიანთ მუხედულებათა დასამტკიცებელ საბუთად ეროვნულ კიბვას. ეროვნული კიბვა მეტად რთული კითხვაა და მას სჭირდება ყურადღებები მოპყრობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნულ კიბვას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ის შესაფერისად გადასწვითა. ტყუილად ცდილობენ ჩვენი მტრები იმის დამტკიცებას, რომ თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დროს „ოკრაინული იყოს მცირე ერთა თავისუფლება და იღვენებოდეს მათი ენა.“

მთელ საბჭოთა კავშირში შემავალი ენების სარგებლობენ თანასწორი უფლებით და არავითარ ძალდებანებას ადგილი არა აქვს. ყველგან ხდება საქმის წარმოება იმ ენაზე რომელზედაც ადგილობრივი მკვიდრნი ლაპარაკობენ. მაგრამ მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, გამოჩაყვანების, როდესაც „ვილა“ ისე არ მოქმედებს, როგორც საჭიროა და ამით უკმაყოფილო ელემენტებს აძლევს საავტორიტაციო მასალას. აქ დროებით ერთ მაგალითს მოვიყვანო, ჩვენს ხელთ არის ქვეთარი, გაცემული შინაგან სახკომის ვიზების მაგიდის გამგისაგან. ეს დოკუმენტი დაწერილია ისეთი ქართული ენით რომლის მსგავსი ჯერ არ ნახულა და არ ვაგონილა.

ნუ თუ გამოილია საქართველოში ქართული ენის

მცოდნე, რომ ეს ქვეთარი კარგი, მსგავსი ენით დაწერილიყო? ქვეთარი რუსულ ქართულად არის შედგენილი და მოგვსენებთა, რომ რუსული მშენებრი კარგადაა დაწერილი. მხოლოდ მის თავზე ქართული მართლწერა და ენა საშინელ ვაჭირებებაშია ჩაყარდნილი. დასამტკიცებლად ნათქვამისა მოვიყვანო ამონაწერებს ამ ქვეთარიდან: მაგ.: „საზღვარ გარეგნულ გავლენაზე უარის თქვის შემთხვევაში საბუღების ასლები არ უბრუნდება უკან“, ან კიდევ: მიღებულია—მაგერ — მიგებულა და სხვა...

თავის თავად ეს დიდი ცოდვა არ არის. მაგრამ მოწინააღმდეგეთა ხელში ეს საავტორიტაციო მასალა ჩვენს წინააღმდეგ. აქ კიდევ უფრო საყვირების ის არის, რომ ქვეთარი უბრალო ხელნაწერი კი არ არის, ის სტამბაში დაბეჭდილია. და ვინა სადაც ეს ცუდი დიბეჭდა იქ კარგის დაბეჭდა არ შეიძლება? ამ ქვეთარის წამკითხველი მაშინვე იტყვის: აქ ქართული ასოები ისე თავლების ასახვევად არის დაბეჭდილი. ამას უნდა დამებთან ავრთვეთ ის, რომ ქვეთარი რუსულით არის შეყვებული.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს და მიღებულ იქნას ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

სანდრო გვიმრაძე

კომპარატიული გზაგებობა საბჭოთა სახარტივალში და ქართული ემიგრაციის გორკუტი სისინი

ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს „პრიძოლის“ მეტყე ნომერი, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მინისტრი ბატ. კანდელაკი „სულათთანას“ უგალობს საბჭოთა საქართველოს კოოპერაციას. თუმცა ძნელია რამეში დავაჯეროთ ისეთი ხალხი, რომელიც გონების თვალებს განზრახ იხნელებს და, რომლის სახეზე მულად ასეთი წარწერაა: „—შენ თუ გინდა უტყუარი ციფრებით და საბუთებით დავამტკიცე შენი დებულება , მე მანც ჩემი უნდა ვთქვა“—ო. ეს ვაუბატონები წარბ მუხურელად აცხადებენ: „კოოპერატიულ კრებებზე, ხალხი ჩვეის მიმით მიდის და გამგებობას ცეკანიშნაეს...“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ელემენტები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ზანაშვილისაგან შემდგენ ცხვირების მრავალი ურყევი კანონი და მათ შორის მათემატიკურიც კი შეიცვალა...

ამა მოუხსმინოთ თვითონ მოქ. კანდელაკს: „...კოოპერაცია ჩვენშიც და რუსეთშიც დაძაბუნდა—ნივთიერთათა და მორალურათაც. საბჭოთა ვაზეთები სასევა კოოპერაციების ზარათის, უიმეოთა დავალიანების და იქ გამაფრებულ ბოროტმოქმედების ამბებთან... ერთი თვის წინათ, წარმოებულმა რევიზიამ ქუთაისის მაზრის თემების მთელ რიგ კოოპერატიულ ორგანიზაციებში აღმოაჩინა გამგებობის წყერების და სხვა პასუხისმგებელ თანამშრომელთა მიერ ფული გაფლანგვა და კოოპერატიულ ქონების მითვისება.

ზოგ გამგებობის წყერებს და ნოჭრებს გაუფლანგავთ და მიუთვისებიათ კოოპერაციის ფული ან სხვა ქონება“.

ყოველი ეს მეტის-მეტად სამწუხარო ამბავია, მოქ. კანდელაკო, მაგრამ აქედან კიდევ შორს, შორს არის ქვეყნის დაღუპვამდე. ბოროტმოქმედებას ადგილი აქვს, ამას ჩვენ ვამტკიცებთ, ამას ჩვენ ვებრძობით, ამას ჩვენ ვასწავობთ. მაგრამ ერთი მიზრძანით, სად არ იყო ასეთი და კიდევ მეტი ბოროტმოქმედება? ასეთი რამ იყო, პატრიცეპული მოქალაქე, თქვენ სამთავროშიც. მხოლოდ მაშინდელს და დღევანდელს დროს ის განსხვავებაა, რომ მაშინ ასეთ ბოროტმოქმედებას არ ებრძოდით. ჩვენ ვებრძობით. ეს იჭიდანაც ჩინს, რომ თვითონ ჩვენ ვებე-

დავთ მათ შესახებ; თვითონ ჩვენ ვაწვდით მასალებს თქვენი ბოროტი კრიტიკისათვის. არ გჯერათ? მაშ ვადათავალიერეთ კოოპერატიული ჟურნალი „კავშირის“ ნომრები, დაწყებული 1918-დან 1921 წლამდე. აიღეთ საეკლუბო. ნომრები: 12, 17—18, 18—19, 21—22 და სხვა. თუ რომ არ წყაწყნით, მოავლინებთ ამ აუბარებელი მასალებიდან მხოლოდ ერთს საჩხერის კოოპერაციის ამბავს:

„საჩხერის კოოპერაციის 1918 წლის ანგარიშიდან გამოირკვა დანაკლისი 33.000 მანეთ საქონლით. აქ იყო ბოროტ ბოროტმოქმედება, ისე დაუღუპებო: 1) კერძო ვაჭრები სარგებლობდენ კოოპერაციის ბეჭდით; 2) ყველაფერი ერთი კაცის ხელში იყო და გამგებობის დანაჩენ წყერებს წარმოადგენდა კი არ ყოფილა, თუ რა ხდებოდა კოოპერაციებში; 3) არავინ იყო პასუხისმგებელი დანაკლისისათვის, ვინაიდან დუქანში ყველანი ვაჭრობდენ. დაწყებული გამგებობის წყერებით და გათავებული ნოჭრით“.

ასეთ ბოროტმოქმედებას თქვენ შეხედუბოლით კოოპერაციების უმეტეს ნაწილში თქვენი ბატონობის დროს, მოქ. კანდელაკო, ადგილი ჰქონდა შემდეგ ბოროტ მოქმედებასაც: გამგებობის წყერებთან და თანამშრომელთაგან ჩარჩი-ვაჭრები შეადგენდენ არა ნაკლებ სა-მოცი პარტიციპაციას. მაგალითს: ცემის სამომხმარებლო საზოგადოება, ვაჭრობა დაიწყო 1918 წლის 12 მარტს, კოოპერატივი მოთაქსებულია ჩაჩანიძის სახლში და იმის წლიურათ 500 მანეთ ჰქონს. ამ სახლში წინათ ჩაჩანიძის ჰქონია თავისი კარგა მოზრდილი მალაზია; ბოლო დროს საჭმე რიგინათ ვერ წასვლია და მისი მალაზია მთელი საქონლით, რომლის ღირებულება 3000 მ. უდრის, გადაუცია კოოპერაციისათვის; თითონ კოოპერატივში ნოჭრათ დამდგარა თემში 150 მან. ჯამაგირით. ჩაჩანიძე ნამდვილი ტიპია სოფლის ვაჭრისა, საერთო მას კოოპერაციასთან არა აქვს რა“.

ასეთი მაგალითები მრავალია.

მოქ. კანდელაკი კრიტიკის ქართველში ატარებს საბჭოთა ქვეყნის კოოპერატიულ საქმიანობას და ყველგან იმოწმებს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბელადების მიერ პარტიულ ყრილობებზე წარმოთქმულ

აზრებს. მაგალითად, მას მოჰყავს ახმ. მამია ორასელა-შვილის შემდეგი სიტყვა, წარმოთქმული საქ. კომპარტიის მეოთხე ყრილობაზე: „ჩვენ ვიცით, — ამაზს ახმ. ორასელაშვილი, — რომ გვაქვს დამპყვებელი კოაპერა-ცია, ვიცით მისი ტკივილების მიზეზებიც: ბევრ შემთხვე-ვაში დამნაშავე ერთ ჩვენს, როგორც პარტიას, როგორც სახელმწიფოთა“ (კომუნისტი“ № 288, 9 დეკემბერი, 1925 წელი).

ეს ამონაწერი ცხადყოფს, რომ თვითონ შთაგობა ჩინებულად გრძნობს ჩვენი კოაპერატივების ნაკლს და რაც ყველაზე უმნიშვნელოა, ის არ მალავს ამას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე უეჭველად გამოსწორდება. საერო-თოდ უნდა მოვახსენიოთ, რომ ძნელი წარმოსადგენია მეორე ხელისუფლება, რომელიც ასე თამამად, ასე აშკარად აღიარებდეს თავის ნაკლს, როგორც ამას სჩადის საბჭოთა ხელისუფლება. და მერე ეს სიძლიერისა და სიჯანსაღის მომასწავებელი არ არის? თქვენ მოქალაქე ექს-მინისტრი დაგვიანხმებდა, რომ ეს ასე არ იყო მისი, და მისი ამხანაგების დროს, „ბედნიერ საქართველოში“, რომ მაშინ სასტიკად იყო აკრძალული ცხოვრების უარყოფითი მხარეების გამოამკლავებდა, მისი კრიტიკუ-ლად უნებდა, სააშკარაოდ განეხილა.

საბჭოთა ქვეყანაში ეს ასე არ არის. კომუნისტური ხელისუფლება, ქვეყნის სათავეში მდგომარე პარტია პე-რიოდულად ახდენს თავისი ნამუშევრის გადათვლიერებასა და გადაფასებას. ისინი კრიტიკის ცეცხლში ატარებენ თავისივე ნამოღვაწარს, სიამონებთი მოუსმენენ მოწინააღმდეგეებს, ცდილობენ ისარგებლონ წარსული გამოცდილებით; ასწორებენ ნაკლს და ისე ახალის, საუ-კეთესო მიღწებით განაგრძობენ საქმეს. ასე შერევიან ისინი სახელმწიფო აღმშენებლობის ყოველ დარგში. და რომ მოქ. კანდელაკს სიმაართლის არ ეშინოდეს, ის სწო-რით იმავე „კომუნისტი“ იმ ფურცლებზე, სადაც მან ახმ. კახიანის და ორასელაშვილის სიტყვები ამოიკითხა, არ გამოჩნებოდა უპირავე ცნობები იმ დიდი მიღწევების შესახებ, რომლებიც აქვს საბჭოთა ქვეყანას საერთოდ და მის კოაპერაციას კერძოდ. მოქ. კანდელაკი ყოველი ამის შესახებ სდუმს. მაგრამ ყველას რომ თავი დაეანებოთ, განა დასაშვებია, რომ სერიალული აღამიანი ფინანსე-ბის ექს-მინისტრი უცხოეთით, უფაქტო ცილიობს და-გვიმტკიცოს. რომ საბჭოთა საქართველოში, ბოლშევი-კების მოსვლის შემდეგ სრულებით განადგურდა, მენშე-ვიკების დროს „აყავებულა“ კოაპერატიული საქმიანობა? ნუ თუ ამის დასასაბუთებლად ციფრები საქრო არ არის? აბა ვინ დაუჯერებთ ასე ზოგად განცხადებ-ბას? იგივე ორასელაშვილი და კახიანი, რომლის ანა-ლოზითაც თქვენ სარგებლობთ, თავის სიტყვებში არკვე-ვენ იმ მიზეზებს, რითაც არის გამოწვეული კოაპერა-ციის სისუსტე. საბჭოთა ხელისუფლება დაუყოვნებლივ იძუშავებს და ატარებს ცხოვრებაში, იმ გადამჭრულ ზო-მებს. რომელსაც თამამად შეუძლია კოაპერატიული „სუსტე ფორმის“ სრულიად გაჯანსაღება და გამო-სწორება.

მოქ. კანდელაკი, როგორც ოდესღაც ჩვენში „ცნო-ბილი“ კოაპერატორი, თავის აზრის დასასაბუთებლად მოკლე ექსკურსიას აკეთებს კოაპერაციის წარმოშობის და განვითარების ისტორიაში. გადავეყვართ ინგლისის კოაპერაციის ისტორიაში და განვხილავთ: „შემთხვევითი მოკლენა არ ყოფილა ის, რომ თანამედროვე კოაპერა-ტიული მოძრაობის აკვანი იყო ინგლისი, სწორედ ინგ-ლისი, ეს აკვანი დემოკრატიული წესწყობილებისა“. იმა-ვე წერილში მოქ. კანდელაკი გაიძლევა შემდეგ დებულებ-ბას: „კოაპერაცია საბჭოთა წყობილებაში ვერ განვი-თარღდება, რადგან კოაპერატიული მოძრაობა უყრდნობა რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელიც ეწინააღმდე-გებოდა ბოლშევიკების პარტიულ და სახელმწიფო საქმიანობას. ეს პრინციპებია: 1) სრული თვითმომქმედება თავისუფლების ნადავზად აღმოაჩინებული და 2) სრული თანასწორობა ანუ დემოკრატია“.

ჩვენ არ შეუძლებით მტკიცებას, რომ ჩვენში, ჩვენს კოაპერაციაში კოაპერატივის წევრები, სრულიად თავისუფლად არიან, რომ ისინი მოქმედებენ თავისუფლად. ამას დამტკიცება არ ესაბიროება. და კანდელაკს კი ეტყობა, ვერაფრით დაფარწმუნებთ, მაგრამ ჩვენ ქვემოთ ავალაპარაკებთ ციფრებს და დეე თვითონ მკითხველი იყოს ჩვენი მსაჯული.

მოქ. კანდელაკი მოვეითხრობს: გაგვიგობის წევრნი შთაგობის და პარტიის უზარალო აგენტებია, კოაპერა-ტივი ნივთიერათაც სასტიკად შთაგობაზე არის დამო-კიდებული. განა შესაძლებელია თავისუფალი იყოს ისეთი დაწესებულება, სადაც ერთი მეთაიდი თუ არის სა-კუთარი თანხა და ცხრა მეთაიდი კი შთაგობის ფულია?

საინტერესოა მართლაც გავითვალისწინოთ, თუ რო-გორია დამოკიდებულება საკუთარ და ნასესხ თანხებს შორის კოაპერაციაში ეხლა და როგორ იყო უწინ, მენ-შევიკების დროს. მოქ. კანდელაკი დაყენებთ გვეუბნე-ბა, რომ წევრები არ მოდიან კოაპერატიულ კრებებზე, საბაიო თანხა არ შეეკეთ კოაპერატივში“. და ამ გარე-მოებას ის თავისებურად ხსნის: „კოაპერატიული მოძრა-ობის განვითარებისთვის საჭიროა ისეთი სოციალური წრე, რომელსაც შეუძლია დაზოგავ ცოტა რაიმს, საერთო საქმისთვის გადადება ლუმენ პროლეტარიატის და ბო-ვანოთა წრეში კოაპერაცია ვერ განვითარდება“. თურ-მე საქართველოს გლეხი ისეა ვალატაკებული, რომ სა-ქონლის შექმნას ვერ ახერხებს და აბა საიდან შეიტანს ის საბაიო თანხას.

მერე ეს მართალია? აბა ახლა ციფრებს დაუგლით ყური.

კულმინაციონური ეტაპი მენშევიკების დროს — კო-აპერაციის განვითარებისა იყო 1919 წ., ამიტომ კოაპერა-ციის დღევანდელი მდგომარეობის შედარებას ამ წელი-დან დავიწყებთ. ამ წელს კოაპერაციის საბაიო თანხა უდრიდა 444.375 მანეთს. 1920 წელს კი ეს თანხა უდრიდა 34.429 მან. 1921 წ. — 5.880 მან.

როგორი იყო 1926 წელს ჩვენი კოაპერაციის სუ-რათი. 1926 წელს საბჭოთა საქართველოს მომხმარებელ კოაპერაციის (ტფილისის გარდა) ყავდა 166.161 წევრი; საბაიო თანხა ჰქონდა 466.067 მან.

აქედან აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების და-მყარების შემდეგ მომხმარებელი კოაპერაციის საბაიო თანხა, იმისთან შედარებით, რაც დარტოვა მენშევიკურმა შთაგობამ, გაზრდილა 79 -ჯერ... ამიტომ მოქ. კან-დელაკს ეს ზრდა ცოტად ეჩვენოს, შეგონებთ ვინც ახლოს დგას საქართველოს კოაპერატიულ ცხოვრებასთან, იმან კარგად იცის, თუ როგორ უნდობლად უყურებდენ გლე-ხები მენშევიკების დროს სრულად განიატებული კოო-პერაციის აღდგენას. ისინი ასე ამბობდნენ: „არა, შვი-ლოსან! ჩვენ საბაიო თანხა შემოვიტანეთ ნიკოლოზის დროს, ერთი სამჯერ მაინც შევაცეთ მენშევიკების დროს, და ეხლა ჩვენ ფულსაც თქვენ ვეღარ ვაზნობთ, იქნებ გინდათ კიდევ გაგვიგობის წევრებს და ნოქრებს შეაქაშოთ?“.

ასეთ მძიმე პირობებში მიმდინარებოდა 1921 წელ-ში საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის მიერ კოაპერატივების და კოაპერაციის საქმიანობის აღდგენის საქმე. საბჭოთა საქართველოს მიღწევები კოო-პერატიულ დარგში ერთი ათად მეტი იქნებოდა დღეს, რომ მას ასეთი შემკვიდრებოდა არ მიიღო თქვენგან, მოქ. ექს-მინისტრი. თქვენ კი ვსურთ დამტკიცოთ. რომ სა-ბჭოთა საქართველოს მოსახლეობა ისეა გაზოგანოვებუ-ლი, რომ მას სრულყოფილ დაუკარგავს მსყიდველობითი უნარი და საბჭ. ხელისუფლებას კოაპერატივისთვის კრედიტის მიწოდებით სურს მოსაძის ეს სოციალური უტედურობა“. ვნახთ, იქნება მოქ. კანდელაკის ეს გან-ცხადება მაინც შეეუბრებოდეს სიმართლეს.

1926 წლის განმავლობაში საომხმარებლო კოაპერა-ტივების საშუალებით გაყიდულა სულ მოსახლეობაზე 45.631.000 მანეთის საქონელი. თუ ჩვენ ამ ჯამს კომლ-თა რაოდენობაზე ვაყვითოთ (476.750 კომლი აუზანების გამოკლებით) მივიღებთ, რომ თითოეული კომლს საანგა-რიშო წლის განმავლობაში შეუძენია საშუალო რიცხ-ვით 96 მანეთის საქონელი. მაგრამ გლეხი საქონელს

იქნდა არა მარტო მომხმარებელი კოოპერატივებიდან, არამედ სახელმწიფო საჯავოებრიდან, სხვა დარგის კოოპერატივებიდან და კერძო პირებიდანაც. თუ მომხმარებელ კოოპერატივზე 40 პროც. ვივარაუდებთ, უნდა დავუშვათ, რომ საქონლის 60 პროც. იგი იქნის ზემოთ ჩამოთვლილი სხვა წყაროებიდან.

ეს ციფრები საკმაოდ ნათელყოფენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა არ გამოვანერგებულა, რომ ჩვენი გლეხის მყვიდველობითი უნარი კი არ შემცირებულა, პირიქით, გაზარდილა. და იზრდება დღითიდღე. მოკ. კანდელაკის და ძმთა მისთა ბატონოების დროს საქართველოში, ალბათ, არსებობდა ის „ძირითადი პირობები“, რომელიც მას მიაჩნია აუცილებელ საჭიროთ კოოპერატიულ საქმიანობის გასავითარებლად; მაგრამ, მიუხედავად ამისა, დემოკრატიული სახელმწიფო ეკონომიკათა წინ კი არ მივიღო, არამედ ნამდვილი კრიზისის წინაშე დგავ. ეს ასე იყო არა მარტო კოოპერაციის დარგში, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკის ყველა დარგებში. თუ ამას დამტკიცება სჭირდება, მიემართოთ ისეთ წყაროს, რომლის მიუდგომლობაში ვერც თვითონ

კანდელაკი შეიტანს იქვე. „საერთო არე-დარევაში, სა-არსებო საგნების საზოგადო გაძირობამ და აქედან შექმნილმა აუტანელმა მდგომარეობამ ისეთი გამწვანებელი ხასიათი მიიღო, რომ დღეს ყველა ერთ ხმით ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისზე; დაცვა შრომის ნაყოფიერება, არარად იქცა იმ ფულის ნიშნების ღირებულება, რომლითაც უნდა დაჯილდოებულ იქნეს მთავარი ელემენტი ქვეყნის საწარმოო ძალების, სოფელი მოსწყდა ქალაქს და ერთნაირად მოიშალა ის წონასწორობა, რომელიც, მიუხედავად მისი წინააღმდეგობებით ვაცხდის არსებობას, მაინც არსებობდა მიუღი მუშაობაში. ამ წინააღმდეგობებში იშუა თავი, დაწყვიტა ერთმანეთთან შემაერთებელი რგოლები, და შეუძლებელი გახდა ის ნორმალური ვითარება, რომელიც, ავით თუ კარგად, მუდამ თან ახლდა ომის და რევოლუციის ეპოქის წინა დროს.“ (იხ. „კავშირი“, № 23—24, 1920 წ. ნოემბერი).

ასეთ სურათს გვიხატავს თვით მენშევიკების ორგანიზაციის იმ დროინდელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისას.

ალ. ხელაძე.
(დასასრული იქნება).

სახვოთა აღმშენებლობა

მას შემდეგ, რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული საშხედრო ინტერვენციები დამარცხებით დასრულდა, რომლის უკუგდება შესძლო რევოლუციონურმა მუშათა კლასმა ლარბის გლეხობის აქტიური დახმარებით, პროლეტარიატის დიქტატურის კლასიურ მტრებს და მათ ფეხის ხმის ამყოლოთ სოციალ-რევოლუციონისტებს იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავს ვერ გაართმევდა მის წინაშე წამოჭრილ ეკონომიკურ მშენებლობის პრობლემას და ის ამ მიუღებელ უსათუოდ დამარცხდებოდა.

სხვათა შორის ამ აზრის მტკიცებას ყოველთვის დიდ დროს და ენერჯიას ანდომებენ საზღვარ-გარეთ ვადახვეწილი ქართული ემიგრაციის ბელადები თავიანთ პრესის ფურცლებზე, „ბრძოლის“ თითქმის ყოველ ნომერსა თუ ცალკე ბრძოლებს იხიან ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში არავითარი აღმშენებლობა არ სწარმოებენ, პირიქით ეკონომიკური პირობები თანდათანობით უარესდებათ.

ესლა, როდესაც უდიდესი ჰიდროელსადგურის—ზაქვის ამუშავება უკვე მოხდარი ფაქტია, რომელმაც თბილისს უკვე მიარწადა თავისი მანიატორული შუქი, ზედმეტი არ იქნება თვლი ვადავლოთ იმ წარსულ აღმშენებლობითი მუშაობის ნაყოფს, რომელიც ესელა გვაქვს და იმ მახლობელ პერსპექტივებს, რომლის განხორციელება გადაწყვეტილია უახლოეს წლებს განმავლობაში. ჩვენს ყოფილ აშხანაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ თვითმპრობებლობის დროს მთელი ამიერ-კავკასია და კერძოდ საქართველო წარმოადგენდა ერთგვარ ახალმენს შიდა რუსეთის მრეწველობისათვის. აქედან გამომდინარე ნედლი მასალა მუშავდებოდა მოსკოვისა და პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებში და იქიდან გვიგზავნიდნენ საქართველოში. ეს უდავო ქმნილობაა, მაგრამ ტყუილია ის დებულება, რომ ვითომ საბჭოთა კავშირის მთავარად ისეთივე პოლიტიკას ატარებს გაანაბრა ქვეყნებში, როგორსაც თვითმპრობებლობის მთავრობებმა. მიემართოთ ფაქტებს და განვიხილოთ, შეეფერება სიმართლეს ასეთი აზრი?

სულ ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ეს არც ისე დიდი დროა ისეთი დიდი საქმის შესასრულებლად: რომელსაც ეკონომიკური აღმშენებლობა მოითხოვს, მით უმეტეს, თვით ნოვ ყურადნაზის სიტყვები რომ ვინმაროთ, დამფუძნებელ კრებაში წარმოთქმული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს საქართველომ უკვე მიიღწია ფინანსიურ და ეკონომიკურ გაკოტრებას და

ამ ფაქტიურად გაკოტრებული ქვეყნის აღმშენებლობის წარმოება მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო დანგრეული ტრანსპორტის აღდგენა, ურომლისოდ წარმოუდგენელია ეკონომიკურ წინსვლულობაზე ფიქრი და ლაპარაკი. საბჭოთა მთავრობამ არა თუ შესძლო დანგრეული ტრანსპორტის აღდგენა არამედ მას გაიყვანა ოზურგეთის რკინის გზაც, რომელიც გურიის გლეხობისათვის ათეული წლებით საოცნებო საგანს წარმოადგენდა. მართალია, ეს შედარებით პატარა საქმეა; მაგრამ ვერც ერთმა წინა ხელისუფლებამ ის ვერ განახორციელა, მიუხედავად მრავალი პროექტებისა. შენდება შვიი ზღვის სანაპირო რკინის გზა, რომელიც დიდთ შეამცირებს მანძილს რუსეთთან კავშირისათვის და საშუალებებს მისცემს საქართველოს გლეხობას თავიანი ნაწარმოები მცირე ხარჯების გაღებათ მიაწოდოს საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ბაზარს.

ესლა თვლი ვადავლოთ სასოფლო მეურნეობის დარგში შესრულებულ სამუშაოთ. ხელისუფლება მტკიცედ აღვია იმ აზრს, რომ მოახდინოს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ტრაქტორი ჩვენს გლეხობას წინად არცკი მოვისწირებოდა; დღეს ის საქართველოს მრავალ სოფლებში მუშაობს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცული ქაობების ამოშრობას და სარწყავ არხების გაყვანას. ამ მიზნით შექმნილია საქართველოს წყალთა მეურნეობის ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს ამ მუშაობას. ვაყავთ მრავალი არხები, გადაწყვეტილია ფოთის ჰაობის ამოშრობა, რომელიც საქართველოს გლეხობას შემატებს რამოდენიმე ათასს დსეტენა საუცხოვო მიწას.

შირაქის ელის მორწყვა შესაძლებლობას იძლევა ათასობით ვადახლოთ იქ დასვლენ საქართველოდან უმიწა-წყლო გლეხები. მეცხვარეობას ექცევა დიდი ყურადღება. მიზარდმუშეობამ დიდთ ვადაპარა ომის წინა დროის მონაგვს. მეთაძინებეც ალორძინებელია, ასეთივე მდგომარეობაა მეღვინეობის დარგშიც. კულტურული მცენარეების მოშენებას დიდი ყურადღება აქვს მიქცული.

ასეთია მოკლეთ დღევანდელი სურათი სასოფლო მეურნეობის დარგში. მაგრამ რაც უფრო მთავარია ეს განზოთ მრეწველობა, რომლის განვითარება უმთავრესი პირობაა ერის კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლამ თავიდანვე აიღო გეზი განაბრა რესპუბლიკებში მრეწველობის განვითარებისათ-

ვის. მართალია ეს გადაწყვეტილება ჯერ სავსებით განხორციელებული არ არის, მაგრამ ნიადაგი ამისათვის უკვე სავსებით შექმნილია და ის, რაც უკვე გაკეთდა ამ მიმართულებით, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასახული მიზანი რამდენიმე წლების განმავლობაში სავსებით იქნება შესრულებული.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილი აქვს მრეწველობის განვითარება შეუფერადო სათანადო ადგილდებარეობას და ნედლი მასალის სახსოვებს, ეს უნდა ჩაითვალოს უსათუოდ დიდ მიღწევად.

წინადასაქართველოდან რამოდენიმე ათეული ათასი ფუტი პარკი გაქონდათ საზღვარგარეთის ბაზარზე. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა ადგილებში — სახელმწიფო, ოჯახურად, ხონში, სამტრედიისში და თელავში ჩვენ გვაქვს აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნები, რომლებშიც რამოდენიმე ასეული მუშებია დასაინტეგრირებული. აქ გარდა, იმის, რომ მუშები საქმეს შოულობენ, ვიღებთ გამზადებულ ძაფს, რომლის ბაზრისათვის მიწოდება ვაცილებით ადვილი საქმეა. თბილისში არსებობს აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, რომლის ნაწარმობები არაფრათ ჩამოყვარდება საზღვარგარეთის ნაწარმობებს.

ქუთაისი, რომელიც წინდ უსაქმო თავად - ანაჟრობის სახეტილო ქალაქი წარმოადგენდა და არავითარი მრეწველობის ჩანასახი იქ არ ყოფილა, დღეს მუშაობს მაულის საქსოვი ფაბრიკა და ნიადაგი ეყრება ქუთაისის სამრეწველო ქალაქად გადაქცევის საქმეს.

ბორჯომში აშენებულია ტხენის უკანასკნელ სიტყვაზე საკარ ქარხანა, რამაც სამუშაო მისცა როგორც მუშებს, ისე ადგილობრივ მცირე მიწის მქონე გლეხობას, ასეთივე მდგომარეობაა სადგურ მარეღისის ახლოს, სადაც უკვე ამუშავდა ავეჯეულობის დამამუშავებელი ქარხანა. გახსნილია ბაზისი საწმენდი ქარხნები ბორჯომში.

აი ის მუშაობა რომელიც უკვე ჩატარებულია დღემდის.

მომავალ ხუთ წლიანი გეგმით გათვალისწინებულია დიდი სამუშაოების შესრულება, მათ შორის აღსანიშნავია თბილისში მაულის დიდი ქარხნის აგება, რომელზეც მუშაობა უკვე დაიწყო. ხარჯილიანსა 5-ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით უკვე დამტკიცებულია.

საბოლოოდ გადაწყდა საქართველოში ქალღლის მრეწველობის შექმნა, რომლისთვისაც გადადებულია 10 მილიონი მანეთი. კასპში აშენდება ცემენტის ქარხანა, რომელიც დამამუშავებს მთელი ამიერ - კავკასიისათვის საკმაო რაოდენობის ცემენტს. განზრახულია აგრეთვე მისი გატანა სპარსეთის ბაზარზეც. პრაქტიკული მუშაობა სწარმოებს უკვე გურიის ნავთის დასამუშავებლად, სადაც უკვე აღიზარდა შესაფერი კოშკი ჭაბურღილისათვის და ბურღისაც ამ დღემდე შეუდგებიან. ჯერ - ჯერობით არ შეიძლება ითქვას, თუ რა შედეგებს მივიღებთ აქედან, მხოლოდ ერთი კი ამჟამად, თუ ამ მუშაობამ დადებითი ნაყოფი გამოიღო ეს მოგვცემს უდიდეს ფაქტორს საქართველოს ეკონომიური აღორძინების საქმეში და ამასთანავე სამუშაოს გუჩენს დასავლეთ საქართველოს ღარიბ მოსახლეობას. ასევე განზრახულია ტყეარჩელის ქვანახშირის დამამუშავება, რასაც ამ ერთ წელშივე დაიწყებენ.

მრეწველობის განვითარების ერთ - ერთი საშუალება არის ქვეყნის ელექტროფიკაცია. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ ჩინებულია. ზაქსის სრულიად საკმარისი იქნება თბილისისა და მისი რაიონის მრეწველობისათვის, მას შეუძლია აგრეთვე გაანათოს ახლო-მანძილ სოფლები. აქაირსწყალზე შენდება ელსადგური რომელიც ენერჯის მიწოდებს ბათუმსა და მის რაიონებს. სამეგრელოშიც, მდ. აბაშაზე უკვე მთავრდება 2.000 ცხენის ძალიანი ელსადგური და, რაც უმთავრესია, ქუთაისის მხლობლად რიონზე ამჟამად უკვე შეუდგებიან

მუშაობას დიდი ელსადგურის ასაშენებლად, რომლის საშუალებით ელექტროფიკაციაზე გადავა სურამის ულულტეხილის რაიონს გზა. გარდა ამისა გადაწყვეტილია ზაქსის ენერჯით განთავისუფლებული თბილისში არსებული პატარა ელსადგურები მიაწოდონ საქართველოს პატარა ქალაქებს. მაშასადამე სულ მოკლე დროის განმავლობაში როგორც ქალაქების, ისე სოფლის მოსახლეობისათვის ნავთი აღარ იქნება საჭირო თავიანთი ბინების გასანათებლად. რომელიც შეიცვლება ელექტრონის შუქით.

ესლა ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, თუ ვისი მონაწილეობით და აქტიური დახმარებით სწარმოებს ყველა ეს მუშაობა. ჩვენი მოწინააღმდეგენი ხმებს ავრცელებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაკეულია ყოველგვარი თვითმოქმედება და ინიციატივა

მართლა ასეა ეს?

რასაკვირველია არა. საბჭოთა მთავრობა აღმშენებლობის წარმოებაში ეყრდნობა მასების თვითმოქმედებას. გარდა იმისა, რომ ჩვენს წარმოებას უმთავრესად ხელმძღვანელობენ მუშების წრიდან გამოსული ელემენტები, წარმოებებში შექმნილია ეგრედწოდებული საწარმოო კომისიები და თათბირები, რომლის მუშაობაში ჩაბმულია როგორც პარტიული, ისე უპარტიო მასები. ამ თათბირებზე არჩევენ წარმოებისათვის საჭირობოთო საკითხებს. შემოაქვთ საქმიანი წინადადებანი და, რაც უმთავრესია, საწარმოო თათბირების მოცემული დირექტივები უსათუოდ უნდა განახორციელონ წარმოების ხელმძღვანელებმა. პარტიას და ხელისუფლებას ამ მიმართულებით აღებული აქვს მტკიცე ხაზი.

წარმოებაში თვითეული მუშა გრძნობს, რომ ის ემსახურება თავის საკუთარ საქმეს, რომ მის მიერ შექმნილი ღირებულება მოხმარდება ისევე მის და სხვა მშრომელთა კეთილდღეობას.

ჩვენი პროფესიონალური კავშირების მიზანი და მოვალეობაც განსხვავებულია კაპიტალისტური ქვეყნების პროფესიონალური ორგანიზაციებისაგან. აქ პროფორგანიზაციები მიზნად აქვთ დასახული ერთის მხრით მუშამოსამსახურეთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა და მეორეს მხრით სახელმწიფო მრეწველობისათვის ანგარიშის გაწყვეა და მისთვის შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების აღმოჩენა. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი პროფორგანიზაციები არა ემდებ და ორ გამოცდელ მუშაკს გზავნიან წარმოების ხელმძღვანელად და ამასთანავე ხელფასის გადიდების საკითხშიც ატარებდენ წინასწარ მოეჭებულ პოლიტიკას. კავშირების ასეთ საქმიანობას ანგარიშს უწყებს მასში გაერთიანებული წევრები და არასდროს ადგელი არა აქვთ კონფლიქტებსა და გაუგებრობას.

ვიმეორებთ: თავისი საქმიანობის დროს საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ ემყარება მასების თვითმოქმედებას და უფასოდ ვერ წარმოუდგენს სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დაგვირგინებას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ აღმშენებლობა საქართველოში სწარმოებს საკუთარი რესურსებით და საბჭოთა კავშირის მთავრობის დახმარებით. აქ არ ურევია უცხოეთის კაპიტალი, რომლისაც ასე დიდი იმედი ჰქონდა საქართველოს ყოფილ მთავრობას. საქართველოში თუ რაიმე აღმშენებლობას ექნებოდა ადგილი დემოკრატიული ხელისუფლების დროს, ეს უსათუოდ უნდა მოხდებოდა უცხო კაპიტალის საშუალებით თუ რა არსებობის მოტანა შეეძლოა უცხოეთის კაპიტალს ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს ჩვენ გამოცდილებით ვიცით.

იმ პირობებში, როგორშიც უხდება მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებაში საქართველოში, უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ ძლიერ ბევრია გაკეთებული.

ისინი, ვინც მართლა დანიტერესებული არიან საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობით და საქარ-

თველოს აღორძინებით, უკვე დიდი ხანია ამოუღდა გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად ჩაბმულია აღმშენებლობის საქმეში, ხოლო იმათ, ვინც შიშოლად სხვისი კრიტიკისათვის არის გაქენილი, ან და უმილნო თავმოყვარეობით შეპყრობილი, შეუძლიათ პარიზიდან აწარმოონ კრიტიკა.

სოფლის აღორძინება

სოფელია ქალაქის ძემუე, ქალაქის უამრავ მხოვრებთან მიჯნავს, და მასაზრდოებელი. სოფელია ქალაქის დედა, სოფელია წარმოშვა იგი და იგივე სოფელი აწოდებს მას საზრდოს. ამიტომაც რომ ქალაქის ყველა შეგნებული მოქალაქე ცდილობს რომ მის ძიძას, — სოფელს რბე არ დაეშორიოს, არ გამოიფიქროს. სოფელი თუ ღონიერია, აღორძინებულია, მისი დოღლათი სიღრმე და გადაღულს, — მასინ ქალაქიც უზრუნველყოფილია. სოფლის გაღატაკება, მისი მეურნეობის დაცემა—დაუძლურება მწვავე დაღს დასამდა ქალაქის წარმოებას, გაღატაკებდა მასში ჩაბმულ უამრავ მჭამა-ხელს, გააძლიერებდა უმუშევრობის. და თუ ყოფილი ბურჟუაზიული მთავრობები სოფლის მეურნეობის განვითარებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ცხადია დღევანდელი ხელისუფლება, და მმართველი პარტია ასე ვერ მოიქცევა—საბჭოთა ბუნება ქარხნის მუშასა და სოფლის მეურნეს აერთიანებს ერთი გზით, აჯაყებს ერთი გრანობით და უნერგავს მას რწმუნას პოლიტიკურ ძლიერებისა და რაც უმთავრესია ქვეყნის ეკონომიურ დოღლათის შექმნა-დაგროვებისათვის. რამდენად ვითარდება სოფლისა და ქალაქის მეურნეობა რამდენად იზრდება შრომის ნაყოფიერება და აქედან მიღებული პროდუქტია აკმაყოფილებს ხალხის მასიურ მოთხოვნილებას, იმდენადვე და თანდათანობით უმჯობესდება გლეხისა და მუშის ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამდა მისი პოლიტიკური ხერხემალი, ვითარდება მისი კულტურული ღონიერება.

ეკოქტროფიკაციის ეგზომი განვითარება ზაჰსის სახით წარმოადგენს უკვე ხალულ ფაქტად ქვეულ უდიდეს მომენტს საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეკოქტროფიკაცია, რომელიც დამყარებულია წყლის უსარგებლო ძალის გამოყენებაზე, წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტენსიურ განვითარების საუკეთესო ფორმას.

სასუღარაგროთის პრაქტიკა გვეუბნება რომ იაფი ენერჯისი გაქენსათან ერთად ჩნდება და წრაფად იზრდება ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული საქრობებანი: იჯახებში ეწყობა ეკოქტრონის სამზარეულოები, სამრეცხველოები, დუმელიბი, და სხვადასხვა სამრეწველო-სამუღრნეო მანქანები.

დიდი საქმეა ზაჰსი. ტრუმფალური მიღწევა მისი აგება. კიდევ დიდი, მრავალ-მნიშვნელოვანი იქნება მისი შედეგები თუ ის ქალაქიდან სოფელშიაც შეიკრება—სოფელსაც სქირდება თავისებური ზაჰსი, მისი ხელოვნური სხევიბი ხელოვნური მიუვალ, ხროვად ქვეულ მონდორ ველებსა, უნაყოფო, მწირი მიწის განოყვრება სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარების საქმეში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან ერთად შესაძლებელი გახდება ბალ-ზოსტრის, ძვირფას კულტურულ მცენარეთა გაშენება, ჭაობიან ადგილებს ამოშრობა, ციებ-ცხელების ბუდის აღმოფხვრა და სხვა მრავალ ხალხისათვის სასარგებლო საქმის მოვარება.

მაგრამ ჩვენ ვცით, რომ ხელისუფლებას არც სოფელი დაეწყება ჩვენ ამ მიმართულებითაც გვაქვს მრავალი მი-

ჩვენ კი ვისურვებდით, რომ ვისაც კიდევ შერჩენია უნარი თავი დააღწიოს ბუტეაობის პოლიტიკას, გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას და დაეხმარონ მის საქართველოს აღმშენებლობის კიდევ უფრო წინსვლის საქმეში.

ს. ელიაძე.

ღწევები და მომავლისათვის დასახულია ბევრი სააღმშენებლო გეგმები.

როცა სოფელი გლეხი შორიდან მაინც დაინახავს ზღაპრულ ზაჰსს, ისე ვერ უსაყვედურებს ხელისუფლებას, რომ მას მისთვის არაფერი შეუქმნია, სოფლის აყვავებისათვისაც არ უჭრუნველია...

ვერც იმას შესწამებს ვინმე ჩვენს მთავრობას, რომ ის საქართველოს ყველა კუთხისათვის ერთი საზომით არ მოქმედებდა და რომელიმე კუთხეს, განსაკუთრებულ მთავრელობასა და ქირსელობას უწევდა.

კახეთში გაყავით დიდი ხნის ოცნება ალაზნის არხი და მისი მუშაობა დამთავრდება მიმდინარე წლის სექტემბერში. არხმა დაწყებული სოფ. ტონიანის (თელავის მაზრა) ვიდრე შირაქის მაღლობის კოლონებამდე უნდა მორწყოს გზადაგზა მდებარე სოფლის მიწები და შირაქის ველი მილიანად—სულ 40.000 დესეტინა მიწა. გადაწყვეტილია აგრეთვე სამგორის ველის (გარე კახეთი) არხის გაყვანა. ქართლში თითქმის თავდება ტირიფონის უსარმაზარი ველის მორწყვა. იმერეთში დიდი ხანია მოქმედებს რიონის არხი და მრავალ სოფელს ქირანხელის მოსავალი ერთი-ორად გადაეცემა. სამეგრელოში ამრობენ რომდენიმე ათასეულ დესეტინა მიწაზე ჭაობს—კოლონების სამფლობელოს. გურიისათვის გაცემულია გრძელვადიანი სესხი და მალე მოიარწყვება საუკეთესოთი უსარგებლო „გემირალა“—ეწერი—(ნაგომრის ახლოს). გაცხოველებული მუშაობაა აჭარის ტანშიაც. აქაც ხდება ამოშრობა ქობულეთის მიდამოებში მდებარე ჭაობებისა, რომელნიც შეგებტება სანახსათვის მიწების რაოდენობას და რასაც აგარაკის გაჯანსაღებისათვისაც წამ დუფასებელი მნიშვნელობა ექნება.

საგლეხო მეურნეობის აღორძინების საქმეში დიდ მიღწევად უნდა ჩითვალდეს აგრეთვე ქვემო ქართლში სოფ. მეტეხთან—მათეარზე კოხტა და საფუტელიანი ხიდის აგება. დღეს ხიდი უკვე დამთავრებულია და დაჯდა თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი.

ეს ხიდი აერთიანებს, გზას უმოკლებს და უადვილებს გადასაზიდ საშუალებით მოძრაობას 40 სოფლის მეურნეობას.

სომხენებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე კახეთის ვნახების აღდგენა, რომლებიც ფილოქსერისაგან განადგურებული იყო და გამოცოცხლების ნიშან-წყალი არ გააჩნდა.

ამას დაუმატეთ აბრეშუმის პარკის ამოსაღებ-სახევე ქარხნის აგება: თელავში, ხონში და ოსურეთში—რომლებიც აერთიანებს 1000-მდე მუშა ხელს. რამდენიმე მილიონი ძირი თურის ნერგების უფასოდ გავრცელება და მრავალი სხე.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენ შეგვიძლია პირი ებრუნეთ სოფლისაკენ და მეურნეობაში ჩაბმულ გოიხობას თამამად უთხარო: საბჭოთა ცხოვრებაში 1-ლი მასი არის საერთაშორისო დღესასწაული არა მარტო წარმოებაში ჩაბმულ მუშა პროლეტარებისა, არამედ ის არის დღესასწაული მშრომელი გლეხობისაც, რადგან პირველი მისათა მუშა-პროლეტარებმა სოფლის მშრომელ მოსახლეობასაც გაუადვილეს ცხოვრება, მათთვისაც თანაზიარი ჩახადეს რევოლიუციის მონაპოვარი.

ს. ვადაქკორია.

მდგომარეობა ჩინეთში

უიანსკენელი დეპუტეები მეტად ღარიბია ჩინეთის ამბებით; ძნელია მისი თქმა სისწორით, თუ როგორი ტემპით ვითარდება იქ ცალ-ცალკე ესა თუ ის ფაქტი, მაგრამ მიღებული ცნობების მიხედვით საერთო სურათით მაინც მეტად აღმაშფოთებელია; ჩინეთის ერისა და ნაციონალური მოძრაობის ისტორიული მოვალატე ჩან-კაი-ში, დღითიდღე წარმოუდგენელი სიმძაფრით აბლიერებს რეპრესიებს. ეს პირისხლიანი ჯალათი არ ინდობს ჩინეთის ხალხის სიცოცხლეს და ქონებას, ყველაფერს სპობს და ანადგურებს რაც კი მას წინ გადაეღობება. სრულიად განადგურებულია აქტივ მუშათა უბნები და ორგანიზაციები. სიკვდილით დასჯილ იქნენ რამოდენიმე ათეული მუშათა ლიდერები, დღე და ღამე განუწყვეტლივ სწარმოებს სრულიად უდანაშაულო მოქალაქეთა ჩხრეკა და დაპატიმრება, პოლიციის დაევშლი აგენტები ზაშვებს და დედებსაც არ ინდობენ. დარბევა, დაპატიმრება, სიკვდილი, აწიოკება, — აი რა ახასიათებს ჩან-კაი-შის „ბრწყინვალე საქმიანობას“...

ღიდი არეგ-დრეგვა აგრეთვე ხელისუფლების დამყარების გარშემო, თითქმის თვითთულ ქალაქს ყავს საკუთარი „მთავრობა“ ან მთავრობის უფლებებით აღჭურვილი სპეციალური კომისია; ერთი ასეთი კომისიის ხელში ამჟამად ქანტონში ძალა-უფლება ასეთივე „მთავრობა“ აგრეთვე ნანკინში. ორივე ამ „მთავრობებმა“ ფიცი დასდევს ჩან-კაი-შის წინაშე, რომ ისინი მთელის ძალდონით დაიცვენ რესპუბლიკის „ნაციონალურ მთავრობას“. ყველა მთავრობები“ და მისი აგენტები ჩან-კაი-შის დირექტივებით განაგრძობენ ყველანა სასტიკ რეპრესიებს. განსაკუთრებით მუსსს აბლიერ კომუნისტებს და კომუნისტურათ მოაზროვნე ელემენტებს; სიკვდილით დასაჯეს პეკინის კომპარტიის ორგანიზაციის მდივანი სიავენ-ჩინი, სუნ-შინ-ვენგი და სხვა მრავალი. მაგრამ რამდენად სასტიკია ჩან-კაი-შის რეპრესიები; იმდენად უფრო ძლიერდება ჩინეთის მუშათა კლასში ზიზილი და მტრობა

მოწინააღმდეგისადმი და ღვივდება მასში რევოლუციისადმი სიყვარული და ბრძოლისათვის ალტყინება. ამის დამტკიცებელია შანსაიში ათი ათასი მუშის გაფიცვა, რომელსაც ლოკალური გამოუცხადეს, გლეხების მასიური აჯანყება, აუარებელი საპროტესტო დემონსტრაციები, გომინდანის ცეკის, ნაციონალურ მთავრობისა და სამხედრო საბჭოს ჩან-კაი-შის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედება და სხვადასხვა...

სხედებულმა რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომლითაც ჩან-კაი-შის მოვალატეობის წინააღმდეგ ასე მოუწოდებენ რევოლუციონურ მებრძოლ ლაშქარს: „შეიარაღებული ამხანაგებო! თუ თქვენ გმობთ ამ მოვალატეობას, თუ თქვენ გასურთ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოთ რევოლუცია, წუ მისცემთ ჩან-კაი-შის დარბევის საშუალებას, შეასრულოთ ნაციონალური ჩინეთის ცენტრალური მთავრობის ბრძანებები, რათა დაეშოს მოვალატე, რომელსაც ფეხქვეშ გასთელა სუნ-იატ-სუნის მოძღვრება. დაგვეხმარეთ ამ ერის მოვალატის და პარტიის გამცემის განადგურებაში, მთავრობით ეს ლაქა რევოლუციისა“.

იქვი არ არის, რომ ამ მოწოდებას გამოეხმაურება და ნაციონალურ მთავრობას გვერდში ამოუდგება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩინეთის ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, ვისაც სწამს ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება.

რაც შეეხება ევროპის იმპერიალიზტებს, ისინი რა თქმა უნდა, ემყოფილნი არიან ჩინეთში შექმნილ ასეთ მდგომარეობით და კვლავ განაგრძობენ ჩინეთში სამხედრო ძალების გზავნას.

საერთოდ, ფორტზე ექვერ-ჯერობით სიწყნარება, მაგრამ მხარეები ძალებს იკრავენ და ახლო მომავალში უნდა ველოდეთ სამხედრო მოქმედების განახლებას.

მიომიხილველი.

შერილები პრევიენტის

თელავში, სოფ. გულგულის კომუნა (საკ. კორესკ.)

ს. ს. ს. რ. ცაქმა თელავის აღმასკომს გაუგზავნა 500 მან. 1905 წლის რევოლუციის აღსანიშნავად. ეს ფული უნდა დახარჯულიყო ისეთი სოფლის დასახმარებლად, რომელსაც ყველაზე უფრო მეტი რევოლუციონორი წარსული აქვს.

აღნიშნული თანხა აღმასკომის განათლების განყოფილების კოლეგიის დადგენილებით გადაეცა სოფ. გულგულს.

აი ამ თანხის გადასაცემად და მოკლე ისტორიული ცნობების შეკრების მიზნით გამოყოფილი კომისია, რომლის წევრადაც თქვენე კორესპონდენტიც იყო, გაემგზავრა სოფ. გულგულაში.

გულგულა უწყო, ულახათო სოფელია. გლეხების ქუჩები შორიდანვე ეკვლობებენ ამ სოფლის სილატაყეს. გზები ტოლახინიათ, უსუფთაო. ბევრ სახლის წინ აუარებული სასუქია დაგროვილი.

კვირა დღეა: სოფლის მცხოვრებნი ხუთ-ხუთი, ათათი, წამოფიცებენიათ გაზაფხულის ცხაველ მყოფელ მზეს და ქვეყნის ავკარგზე, სოფლის ქირვარამზე მუსაიფობენ.

- გამარჯობათ ამხანაგებო!
- გაგიმარჯოს ამხანაგო! — და ყველანი წამოიშალნენ.

— აბა, თუ ძმა ხართ, ყველა სკოლის ეზოში მობრძანდით, სოფლის ყროლობაზე.

— ყველამ ციკით და თქვენ მოგვლოდებით, დღეს ამიტომაც თელავში ბაზრობაზე არავინ არ წასულა, იქ ჩვენი ქალები გაგზავნიეთ.

- აბა ბიჭო, თელო, გაიქე ზარი დარქვე.
- რამდენიმე წუთის შემდეგ სოფელში ისმოდა მუხის

ხეზე ჩამოკიდებულ ზარის ხმა, რომელიც ნიშანი იყო ყველას ყროლობაზე წასვლისა.

სულ ნახევარ საათის განმავლობაში სკოლის მიმდორზე შორიოდებდნენ დიდი და პატარა გლეხები. ქალებიც მოვიდნენ. შორი ახლო ბავშვებით ხელში იდგენ.

კრებს სიტყვით მიმართავს აბხ. დ. ჩხეიძე (თფრ-დოსპირელი), რომელიც ენება თვითმპყრობელობის მწვევე და სუსხიან მომენტებს. ს. გულგულის 1906 წლის კომუნის მნიშვნელობას, კახეთის მშრომელ გლეხკაცობის რევოლუციონურ ალტატებს და ამ დიადი საქმის აღსანიშნავად საქართველოს ცაკის მიერ მოძღვნილი 500 მანეთის რაიმე სსაფლო საქველმოქმედო მიზნით მიხმარებას.

ამ გაიმეობათ ალაპარაკა კახელი გლეხები. რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან გაბრწყინებული სახით, ენა მეტყველი თაყინათი კომუნის მოგონებაში.

— გულგულაში კომუნის დაარსების მთავარი მიზეზი — ამბობენ ისინი — იყო ჩვენი სისაწყულე და სილატაყე. მაშინ მთელი გულგულა ხელთ ეპყრათ რამდენიმე ჩარჩ-ვაჭრებს და განსაკუთრებით კი თელაველ სომეხ ეაჭარს ნია კოქლოვს, რომელიც უხვად სარგებლობდა ჩვენი ოფლით და შრომით. ჩვენ მას დიდიდან — საღამომდე დაუდევდით ერთი ლიტრა პურზე, ან ქერზე.

ჩვენ კარვად გვახსობს თუ როგორ დაბარავდა ურმებს ჩარჩი კოქლოვეი ყვიველგვარი ხილუფლით, ბოსტნეფლით, ხორბლით, ღვინო-არაყით და გაუყენებდა თელავის გზას, ჩვენ ამ დროს გულხელ დაყრფილინი, პირხანა გამომძინარი შევეყურებდით ხოლმე; ნერწყვა ყველა პავდით მლაშე ცრემლთან ერთად და გულში წყველა კრულვას უთვლილით არსებულ წესწყობილებას და უკუღმართ მიხეზებას.

ამგვარად, ჩვენ, სიტყვით - პაპანაქებაში, თოვლ - ყინვანში ვმრომობდით, გველაობდით, მწარე ოჯახს ვფეროდით, მაგრამ მუდამ მშვიდ-ტრეფელ და უხედურები ვიყავით...

სწორედ ამ დროს იყო, რომ გავისმა პირველი ხმა ამხ. კ. კოლეიშვილისა გულგულში კომუნის დაარსების შეხახებ. რასაც აღფრთოვანებით შევიგებეთ და სულ მოკლე ხნის განმავლობაში სოფლის უღარიბეს გლეხებიდან 77 კომლამდე კიდევ ვაგზდით კომუნის წევრნი.

ჩვენ მშურად და შეგობრულად ვმუშაობდით, ერთობა და მტკიცე ურყევი კავშირი გვქონდა ყველას ერთმანეთთან.

გარდა ჩვენი მამულ - დედულის საერთო ძალღონით დამუშავებისა, კომუნის ყველა მოწყვეულია: ხარახი, დურგალი, და სხვა ხელოვნები. ვიძინდით საერთო თანხით სხვადასხვა საჭირო საწარმოებს და თანაწორად ამხანაგურად ვანაწილებდით კომუნის წევერთა შორის.

ერთი სიტყვით, ბედნიერ და მყუდრო ცხოვრებაში ჩავევრდით, მაგრამ მოგეხსენებათ: „თითო მახინჯი ყველას გაჰყოფავა“. და ჩვენიაც აღმოჩნდნენ ასეთი მახინჯები, რომლებმაც ციხეს შიგნიდან დაუწყეს აფეთქება. გარეშე მტრებს ხომ ჩვენი კომუნა არ ეპატნავებოდით, და იმათაც აქტიური წინააღმდეგობა დაგვიწყეს და ბოლოს რეაქციის გასახლეობასთან ერთად ისინი ამკარად იფრინებდნენ...

ამ მხენე და ქვეყნის მტრ ბარგმა ხალხმა დაგვებუნდეს პოლიციასთან. მოგვიკლეს კომუნის აქტიური წევრი და მისი ერთგული დარაჯი ამხ. მიტო „ვანიშვილი, რომელიც დიდის ამბით, მუსიკით, გრამინობიერ სიტყვებით მიგაბარეთ მიწას. ბოლოს ერთ საღამოს თავის ოთახში, მაგდის წინ მუშაობის დროს, მტრის მიერ გასროლილ საფანტანია თოფით დაჭრილ იქნა ამხ. ვანო კოლეიშვილიც.

ამის შემდეგ იგი კიდევ დააპატიმრეს. აქ დაიწყეს დარბევა, პოლიციის სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა. ჩავიყენეს „გუგუკუცია“, რომლებმაც ქათამიც კი არ შეგვარჩინა.

ამხარად დამარცხდა ჩვენი კომუნა. ნეტავ რაი ან სამი წელი მაინც დასცლოდა, რომ გვენახა იმის ნაყოფი...—ათაგებენ თავიანთ სიტყვებს გლეხები.

შემდეგ უკვე ჩამოსთვალეს თუ რამდენი ღვეწლი და შრომა მიუძღვის ამხ. კოლეიშვილის სოფლის დაწინაურების საქმეში. მეტადრე ამ ბოლო დროს გულგულში 7 ვერსის მანძილზე სასმელი წყლის გამოყვანით და სხვა. სანამ წყაროს წყალი არ გვქონდა ჩვენ ვსვამდით აშშ-მორებულ, მღვრიე წუმბეს, რის გამოც აქ გავრცელებული იყო საშინელი ციებ - ცხელება, მაგრამ ენა ბედნიერად გვრძნობდა თავს, რადგან გავთავისუფლდით ასეთ აყროლებულ წყლის ხმარებიდან.

აქ დამსწრე აუარებელ გლეხობის სახელით, აცხადდეს ერთი ხანში შესული გლეხი: მავითბოვ დღევანდელ ყოროლობისგან, რათა ამ ახალ წყაროს დაიჩქევას ამხ. ვანო კოლეიშვილის სახელი.

ამ წინადადებაზე ყველამ თანხმობა გამოაცხადა და ტაში დაუკრა.

რაც შეეხება, 500 მანკოს. აი მოხმარდეს ჩვენი სკოლის შეკეთება-მელამაზებას და ამისთანავე უღრმესი მადლობა გამოვცხადოს სოფლის გლეხობის სახელით თელავის მანკარმასკომის სსრულებით საქართველოს ცენტრალურ აღმასკრულებელ კომიტეტს.

დასასრულ, საქართა გლეხობის კომუნის დაწვრილებით ყველა მომენტის შესახებ, შეაფერი სურათების გადაღებით და მთელი წარსულის მასალების შეგროვებით რაც უნდა მოათავსებულ იქნას „საბრევილი-ცხო მუხუქში“.

თელავი. (საკუთარი კორესპონდენტისაგან)

25 მარტს, ქ. თელავში შესდგა მახრალმასკომთან არსებულ კომუნიკაციის დიაკრება. დღის წესრიგში იდგა ორი მოხსენება: თელავის კოოპერატივის გამგეობისა და ბიუროკრატიზმის შესახებ. პირველი მოხსენებით გამოიღეს ამხ. კ. ბაკურაძე. ის ამბობს, რომ თელავის მომხმარებელ კოოპერატივს აქვს რვა განყოფილება თავის სამოქმედო რიონში, მეცხრე განყოფილებას ენლა ხსნის აბრეშუმის ძაფის საივებ ფაბრიკასთან. კოოპერატივს ყავს 2415 წევრი, მათ შორის სრული პაიანი 775. მომხსენებელს ეს რიცხვი მაინცა ძლიერ მცირედ. კოოპერატივს უკანასკნელ დრომდის თავის ხარჯზე ჩაუწყრია წევრებად უღარიბესი მოსახლეობა: ქვრივ-ობლები და სხვა 186 სული. კოოპერატივის მიელი ბრუნვა უდრის 574,000 მან. სხვა და სხვა კოოპერატივზე გაციმული აქვს საქონელი 20,465 მანკეთისა. ფასების დაკლება საერთოდ უფროს 1664 მანკეთისა.

ამხ. მომხსენებელი ამბობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით კრედიტი სახელმწიფო ტრესტმა და სინდიკატებმა შეგვიძინა და ახლი მომავალში სრულად შეგვიწყვეტენ. ამისათვის კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა, რომ საპაიო გადასახალი გადადდეს 10 მანკეთამდე. კოოპერატივის წევრები ამ დადგენილებას თანაგრძნობით შეხვდნენ და უკვე ოცდა ათმა წევრმა იქვე შემოიტანა საპაიო გადასახალი.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს. სხვათა შორის წევრება დიდ ყურადღებას აქცევენ კოოპერატივში გამეფებულ ბიუროკრატიზმს. აქვე დაამორკვა: რომ ყოფილა შემთხვევა, როცა კოოპერატივის წევრნაკით უსარგებლათ ვაჭრებს და სოფლის ჩარჩების ცოლებს.

ამხ. მომხსენებელმა ყველა კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა, და საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ ყველა მწინშული ნაკლის გამოსასწორებლად უკვე მიღებულია სასტიკი ზომები და იმათ ჩვენი კოოპერატივის ცხოვრებაში მომავალი ალავი არ ექნებათ.

მეორე მოხსენებით გამოვიდა ამხ. კახტაშვილი, რომელსაც აღნიშნავს, რომ პირველ ხანებში ჩვენი წარმოება დაწყებულიდან გავლენით ბიუროკრატიზმი, მაგრამ დღეს ხელშეკრულად გვიხდება მასთან ბრძოლა. ახლა ამ სენს ენერგიულად ებრძვის როგორც ჩვენი პარტია, ისე მისი პრესა და იმედა მას მალე მოვლება ზოლო. ამ სენთან ბრძოლას დიდი ხანია რაც ენერგიულად აწარმოებდა მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ ამ ბოლო დროს მაინც ამხ. სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ამ სენს კიდევ უფრო ენერგიულად ებრძვიან მთელ საქონთა კავშირის მამტაბით. კრებაზე ბიუროკრატიზმის საილუსტრაციით იყო ლაპარაკი ერთ პიროვნებაზე, რომელიც მეთაურობს ერთ კოოპერატივს და, რომელიც ადგილობრივ გლეხებს მტრის-მტრად ეჯავრებთ. ამბობდნენ:—კაცი, რაშია საქმე. ნიკოლოზის დროს ეს კაცი გვახრობდა, დღეს, როცა ხელისუფლება მოუშებისა და გლეხების ხელშია, იგივე ადამიანი ჩვენ მეთაურათ გვემკინებთ, მასთან რჩევა-დარეგისტრაციის უნდა მივადეთო. ზოგორც გამორიკვა ეს პიროვნება მოუხსნათ. პიოკურორის განკარგულებით. მერამ ის მოკალაბებულა ნატარისუსი კანცელარიაში.—არის თუ არა ეს ნათელი მორინობათ.—უკმაყოფილოდ ვეოთხებდნენ მოხსენებელს გლეხები. ყველა გამოსთქვამდა სურვილს, რომ ასეთი მოკუნი არ ჩარდნენ მომავალში ადგილთა.

მომხსენებამ გამოიწვია მრავალი შეკითხვები. კამათში მონაწილეობა მიიღო ათიოდე ამხანაგმა. მომხსენებლის საბასუხით სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა სათანადო დადგენილება.

კობე ცირცვაძე

ივ. ღაბითიანი.

სარედაქციო კოლეზია.